საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭდის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 7 მარტი. 2017 წ. №49 (8186), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

საქართველო დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოა თუ ამერიკა-ევროპის ხელწამოსაკრავი ვასალი?!.



რაც დრო გადის, კეთილგონიერი ქართველი საზოგადოება სულ უფრო რწმუნდება, რომ საქართველო არა დამოუკიდებელი, არა სუვერენული, არა თავისუფალი ქვეყანაა, რომელიც თავად კი არ არის თავისი ბატონ-პატრონი, არამედ ამერიკა-ევროპის ყურმოჭრილი, თავში კარგა გვარიანად ხელწამოკრული ვასალია, რომელსაც როგორც ამ ბოლო დროს გაირკვა, თავისი მართლმსაჯულებაც კი არ ჰქონია, უფრო სწორად, ვითომ აქვს, მაგრამ სინამდვილეში ვაი ასეთ მთელ მსოფლიოში მასხრად აგდებულ ქონას.

მართალია, ძალიან მძიმეა ამის თქმა, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ საქართველო ამჟამად გატაკიმასხარებულია, როგორც შიდა მავნებელი, ისე გარე ეგრეთ წოდებული „მეგობარ-პარტნიორი“ ავი ძალების მიერ.

შიდა დამაქცევარ ძალებს, დიდად სამწუხაროდ, ეთავკაცება თვითონ ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც ნაციონალების ანტისახელმწიფოებრივ იდეოლოგიას იცავს და სასახლეში კომფორტულად დაბინავებული თავისი აპარატი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ ბანაკად აქცია.

კი, ბატონო, სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება წმიდათაწმიდა რამ არის. მაგრამ, პირდაპირ საკვირველია, ნუთუ ქვეყნის პრეზიდენტმა არ იცის, რომ ისეთივე წმიდათაწმიდა რამ არის კერძო საკუთრება, რომელიც აგრერიგად აბუჩად იყო აგდებული ნაციონალების და, კერძოდ, სააკაშვილის მიერ ავად სახსენებელი ცხრაწლიანი პარპაშის დროს, როცა ზოგს სახლკარს ართმევდნენ, ზოგს ბიზნესს, ბევრსაც სიმწრით შეძენილ მთელ ქონებას და თანაც კიდევ ციხის კედლებს ალესინებდნენ, ხოლო ჯოჯოხეთად ქცეულ ციხეებში ცოცხებს წლების მანძილზე არადანიშნულებისამებრ იყენებდნენ.

ამიტომაც 2012 წლის შემდეგ ხალხი ახალი ხელისუფლებისგან უწინარესად სამართლიანობის აღდგენას ითხოვდა, რის სრულყოფილად შესრულებასაც არა და არ დაადგა საშველი, რადგან იმ ჩვენმა ეგრეთ წოდებულმა „მეგობარ-პარტნიორებმა“ ნაციონალებთან თანაარსებობის იდეით შებორკეს სხვათა ძალდატანების მორჩილი „ოცნება“ და, ფაქტობრივად, გაანიორწყალეს „ქართული ოცნების“ რეფორმატორული სულისკვეთება.

იხ. 2 გვ.

ნაცბანდა – კოლექტიური ტერორისტი!

5

პრეზიდენტი მარგველაშვილი ცრუსთავორელთა მხარდამჭერია!..

ბიძინა სავანელი: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლის უპრეცედენტო თვითნებობა

2

„ოცნებამ“ „მოსიყვარულე მკვლელს“ სძლია!

9

სხვა გზა არა გვაქვს, უნდა მოვითმინოთ!

8

7

„დროის იეროგლიფები“

კურიოზთა ყულაბა – XXI საუკუნის მიდგომებით



მცირე და საშუალო ბიზნესს განსაკუთრებით რეგიონებში უჭირს!

11

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლის უპრეცედენტო თვითნებობა

ევროპის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლემ ხელყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ავტორიტეტი და დამოუკიდებლობა, რადგან მან საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება ისე დაადგინა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სამოტივაციო ნაწილის ჩათვლით არ გამოუთხოვია, და შესაბამისად, არ გაცნობია, რითაც თავად დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლი 6, რომელიც კონვენციას მიერთებულ წევრი სახელმწიფოების მოსამართლეებს ავალდებულებს იყოს მიუკერძოებელი.

ევროპის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლემ ხელყო საქართველოს სუვერენიტეტი, კერძოდ სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩაურევლობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი, როდესაც კერძო სამართლის სუბიექტებს – მესაკუთრეებს შორის კერძო სასამართლო დავა თვითნებურად გადაიყვანა საჯარო სამართლის სივრცეში, ანუ კერძო სასამართლო საქმეს პოლიტიკური დავის ფორმატი მისცა, რითაც საქართველოში საზოგადოებრივ წესრიგსა და ეროვნულ უსაფრთხოებას საფრთხე შეუქმნა.

ევროპის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლემ თავისი სამპუნქტიანი მოთხოვნით იმთავითვე სადავო გახადა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, ანუ წინასწარ გამოხატა თავისი აზრი, რითაც თავად დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლი 10, რომლის ძალით: გამოხატვის თავისუფლების „განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“

უფრო მეტი, ევროპის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლემ ევენტუალურად ზეწოლა მოახდინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იმ მოსამართლეებზე, რომლებმაც შეიძლება განიხილონ საკუთრების კუთვნილების შესახებ აღნიშნული სამოქალაქო საქმე.

ბიძინა სავანელი,

სამართლის დოქტორი, ხმელთაშუა ზღვის სოციალურ მეცნიერებათა ჟურნალის მთავარი რედაქტორი, სოციალურ და საგანმანათლებლო კვლევათა ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი და მეცნიერ-კოორდინატორი.
რომი, იტალია.

SOS!

საქართველო დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოა თუ ამერიკა-ევროპის ხელწამოსაკრავი ვასალი?!.

(პირველი გვერდიდან) **ამ განიორწყლების ერთი-ერთი ყველაზე სათვალჩენო მაგალითია „რუსთავი-2“-ის აგერ თითქმის ხუთწლიანი დემაგოგიური ძალადობა, რასაც თვითონ რუსთავორელებიც, თვითმარქვია დირექტორის გვარამიას მეთავეობით, და ამერიკა-ევროპაში მიმოფანტული სააკაშვილის მხარდაჭერნი, საქართველოში ამერიკის ელჩის იან კელის ამირსპასალარობით, გველის ხვრელში ძვრებიან, რომ „რუსთავი-2“-ის ყოველდღიური დემაგოგიურ-პროვოკაციული და მომაკვდინებლად ცილისმწამებლური მაუწყებლობა თავისუფალ სიტყვად და დემოკრატიის დამამკვიდრებლად გაასაღონ.**

მაგრამ მოდით, ამ ტელესიმსივნის სარედაქციო პოლიტიკას შევეშვათ. თუგინდ „ოცნების“, ცოტა არ იყოს, ლაყე ხელისუფლების გამომფხიზლებელ კრიტიკად ჩავთვალოთ, კი, ბატონო, მაგრამ რა ვუყოთ კერძო საკუთრებას, რომელიც თავიანთი ზეობის ჟამს სააკაშვილმა, მერაბიშვილმა და ადეიშვილმა ყაჩაღურად წაართვეს ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშს? წესიერმა ხელისუფლებამ წესიერი, დამოუკიდებელი მართლმსაჯულების პირობებში კანონიერ მფლობელს არ დაუბრუნოს წართმეული ქონება?! რა შუაშია, აქ თავისუფალი სიტყვა? იქნებ ამ კანონიერი მფლობელის ხელში არხი არა დემაგოგიური, არა პროვოკაციული, არა ცილისმწამებლური, არამედ ჯანსაღად კრიტიკული ხდება. წინდაწინ რატომ ვტეხთ აჟიოტაჟს? რატომ ვაყენებთ შეურაცხყოფას ყველა დანარჩენ ტელემაუწყებლობას? თვითონ ხელისუფლებაში მობრუნების დაუოკებელი ჟინით შეპყრობილი ნაციონალებისა და ამათი ნებსით თუ უნებლიეთ მხარდამჭერთა გარდა, ნუთუ კიდევ ვინმეს სჯერა, რომ „რუსთავი-2“-ზე ჰკიდია როგორც ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის, ისე თვითონ საქართველოს მომავლის ბედი?! ნუთუ კიდევ არიან საქართველოში ისეთი გულუბრყვილონი, ვისაც საბოლოოდ გაუცრუვდა „ოცნების“ იმედი და ქვეყნის გადამრჩენელს მხოლოდ ისევ მავნებელ ნაციონალებში ხედავდნენ?!

„რუსთავი-2“-ის და, კერძოდ, სააკაშვილის მიერ დაქირავებული დირექტორის გვარამიას უპირველესი მიზანი აკი სწორედ ეს არის. ამ პოლიტიკურ ვირთხას დავალებული აქვს, რომ მეორედ გახადოს „რუსთავი-2“ გამარჯვებული ხალხის ტელევიზია. არადა ნაციონალების ხელში ვერც მაშინ გაიმარჯვა ხალხმა და, ახლა მეორედაც უპირებენ დამარცხებას, უფრო საშინელსა და სასტიკს.

ნამდვილად დასანანია, რომ ასე თუ ისე ვითომ თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყნის ბედში ვისაც არ ეზარება, ყველა აფათურებს ბინძურ ხელს.

აბა, სხვანაირად, როგორ უნდა გავიგოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამართლიანი გადაწყვეტილების შეჩერება სტრასბურგის სასამართლოს მიერ? როგორ უნდა გავიგოთ საქართველოში ამერიკის ელჩის იან კელის ამ გადაწყვეტილების ეჭვის ქვეშ დაყენება?

თუმცა სტრასბურგისა და კელის გამოხდომები რატომ უნდა გავიკვიროთ, როცა თვითონ ჩვენივე ქვეყნის პრეზიდენტი ჩვენი უზენაესი სასამართლოს განაჩენს დანაშაულებრივს უწოდებს?!

ნუთუ კანონიერ მფლობელისთვის წართმეული ქონების დაბრუნება დანაშაულია?!

როგორც ჩანს, ჩვენ არც დამოუკიდებელი და არც სუვერენული სახელმწიფო ვყოფილვართ!

ნუთუ ჩვენმა კეთილსათნო ხელისუფლებამ, იმის მაგივრად, რომ მთელი პრინციპულობით დაეცვა ჩვენი ქართული მართლმსაჯულება, მეტი ვერაფერი იღონა, გარდა იმისა, რომ საერთაშორისო პრესომბუდსმენის იმედად დაეტოვებინა ქვეყანა.

ვაი, საბრალო საქართველოვ, პატივახდილო და მთელი მსოფლიოს თვალში შერცხვენილო, რატომ დაემგვანე იმ უპატრონო ეკლესიას, რომელსაც ეშმაკები ეპატრონებიან?!

ისე, მგელი შეგვჭამს თუ მგლის ფერი ძაღლი, ვითომ დიდი განსხვავებაა?!.

მეტი რა სირცხვილი გინდათ, თუ მართლაც პოლიტიკურმა ვირთხამ, გვარად გვარამიამ, სააკაშვილისგან თავისი სამომავლო გეგმების სამოურავოდ დაძოძილმა, მთელ საქართველოს პირში ლენცოფის ჩალა გამოავლო!

გურამ გოგიაშვილი

იან კელი: ჩვენ განვაგრძობთ მედიის დამოუკიდებლობის მხარდაჭერას

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის იან კელის განცხადებეით, აუცილებელია მთავრობამ დაიცვას კრიტიკული აზრი, კელიმ შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივნად მისი მუშაობის პერიოდი გაიხსენა და მედიაპლურალიზმის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მისი თქმით, საქართველო რეგიონში დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით სამაგალითო ქვეყანაა და ამერიკის პოზიციაც სწორედ იმას ემსახურება, რომ შეინარჩუნოს საქართველომ ეს მდგომარეობა.

„მთავრობის ყველაზე მთავარი საზრუნავი თავისუფლებების შენარჩუნებაა და დამოუკიდებელი მედია ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. საქართველო მოდელია ამ რეგიონისთვის ამ კუთხით. საქართველო დემოკრატიის განვითარების კუთხით წინ მიიწევს, ხოლო რეგიონის სხვა ქვეყნები კი უკან მიდიან დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით. საქართველო სამაგალითო მოდელია ამ რეგიონის სხვა ქვეყნებისთვის და როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ამ თემებზე, ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ გვინდა, საქართველო წარმატებული იყოს“.

DEVNILI ჟურნალისტის რეპლიკა

ნეტავი მართლა გვისმენდნენ!

აქტუალური თემების „ცვენაა“ საქართველოში. ერთ-ერთი ასეთი აქტუალური თემა გახდა ფარული მოსმენა-მიყურადების შესახებ კანონის მიღება-არმიღების საკითხი. ზოგიერთმა ტელეარხმა განგაშის ზარი დაარისხა: არიქა, ხალხო, თითოეულ ჩვენგანს მოუსმენენ და მერე ნახეთ, რაც დაგვემართებაო. გაუცნობიერებლად, როგორც იტყვიან, „აპრიორი“ შეშფოთდა ხალხი: როგორ თუ მოგვისმენენო! იმაზე კი არავინ დაფიქრებულა, განა რამე ისეთს ამბობენ, რომ მთავრობას მათი მოსმენა-მიყურადება უღირდეს?

რომელი თქვენგანი ამზადებს გადატრიალებას? გეგულებათ თქვენ შორის ტერორისტები? აბა, რა გაშფოთებთ, ხალხო. გისმინონ რამდენიც უნდათ.

არა ბატონო, ტყუილია, ჩვენ არავინ არ გვისმენს. ჩვენ რომ ხელისუფლება გვისმენდეს, ხომ უკეთესად წავიდოდა ქვეყნის საქმე. ჰოდა, ეტყობა ამ ქვეყანას რამე, რომ მთავრობა ხალხს უსმენს? არა, არ ეტყობა.

ნეტავი მართლა მოისმენდეს ჩვენს საუბრებს ჩვენი მთავრობა. ის მაინც ეცოდინება, რა უჭირს ხალხს, და რომ მთლად ისე არ არის საქმე, მათ რომ ჰგონიათ.

ძლიერნო ამა ქვეყნისანო, გვისმინეთ, მოგვისმინეთ, მოისმინეთ, თუ რას ვამბობთ ჩვენ თქვენზე. მოსმენა მაინც ისწავლეთ!

მზია გელენავა

ПРЕМИЕРИС ИНИЦИАТИВА

მთავარია, ვინ იქნება ახალი „პრესომბუდსმენი“

ПРЕМИЕР-МИНИСТРИ გიორგი კვირიკაშვილი „რუსთავი-2“-ის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს განცხადებით ეხმიანება:

„პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ პატივს ვცემთ ევროპული ინსტიტუტების გადაწყვეტილებებს, რეკომენდაციებს და მოსაზრებებს, რითაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში. ამ დამოკიდებულებით ვეკიდებით სწორედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ „რუსთავის-2“-ის საქმესთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას, დროებითი ზომის გამოყენების თაობაზე. ამასთან, მინდა, ყველას შევახსენო და ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ საქმით დაამტკიცა დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულება, რაც საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტების მიერ არაერთხელ იქნა აღიარებული. ამაზე მიუთითებს საერთაშორისო რეიტინგებიც.

სამართლის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა, მათ შორის სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება, სასამართლოს დამოუკიდებლობა ჩვენი მთავრობის პოლიტიკის შედეგია და ქვეყნისა და ხალხის მთავარი მონაპოვარია, რისი მტკიცედ დაცვა და შენარჩუნებაც ჩვენი ძირითადი პრიორიტეტია. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნდამენტია და მის საქმიანობაში ჩარევა და მისი გადაწყვეტილებების უპატივცემულობა, სრულიად დაუშვებლად მიგვაჩნია, ისევე როგორც - სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა. აღნიშნული ღირებულებებით ხელმძღვანელობენ ჩვენი ევროპელი მეგობრები და პარტნიორები, ასეთია ევროპული დემოკრატიის საფუძველი და სწორედ ასეთი სახელმწიფოს აშენებაში მხარდაჭერას და გვერდში დგომას ველით ჩვენი ევროპელი პარტნიორებისგან.

ჩვენ ვიცავთ და დავიცავთ ჩვენს ქვეყანაში ევროპულ ღირებულებებს. ჩვენი ხელისუფლება არის და იქნება გარანტი დემოკრატიული ინსტიტუტების სიძლიერის და მათი დამოუკიდებლობის. მინდა, საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ იცოდეს, რომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა საქართველოს სახელმწიფოს ინსტიტუტებმა უზრუნველყონ ყოველი მათგანის უფლების დაცვა, სამართლიანობის პრინციპის დამკვიდრება და განვითარება. სწორედ ამიტომ, საკუთრების დაცვისა და სასამართლოს, როგორც უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ინსტიტუტის დამოუკიდებლობის დაცვის პარალელურად, არ უნდა შეილახოს არც ერთი ფუნდამენტური უფლება. მართლაც, პირველ რიგში, სწორედ ჩვენი, ხელისუფლების ინტერესშია, დაცული იყოს ჩვენივე მთავარი მონაპოვარი, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება და მედიაპლურალიზმი. ამიტომ არ უნდა არსებობდეს არანაირი კითხვის ნიშანი, ამ საკითხთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ გამოვდივარ ინიციატივით, ჩამოვაყალიბოთ მედიაომბუდსმენის ინსტიტუტი, სადაც მოწვეული იქნებიან მსოფლიოში ყველაზე მაღალი რეპუტაციის მქონე მედიის უფლებადამცველები.

მე დღეს საჯაროდ ვიწვევ სათანამშრომლოდ საერთაშორისო დონის მედიაექსპერტებს და სპეციალისტებს, რომლებმაც თავისი მოღვაწეობით და საქმით დაამტკიცეს საკუთარი პროფესიონალიზმი. ამ ინსტიტუტმა მუდმივად უნდა აწარმოოს ჩვენს ქვეყანაში მედიაგარემოსა და მისი განვითარებაზე დაკვირვება, მონიტორინგი და ეს უნდა შეეხოს როგორც „რუსთავი-2“-ის ირგვლივ არსებულ ვითარებას, ისე საზოგადოებრივ მაუწყებელში და ზოგადად მედიასივრცეში მიმდინარე პროცესებს. ჩვენ ვართ ღია თანამშრომლობისთვის, ჩვენ დაინტერესებული ვართ ჩვენი ინსტიტუტების დაცვით და მათი გაძლიერებით და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარება სწორედ ევროპულ და დემოკრატიულ ღირებულებებზე იყოს დაფუძნებული“.

გიორგი კვირიკაშვილი,
საქართველოს პრემიერ-მინისტრი

პრეზიდენტი საკონსტიტუციო კომისიის დისკრედიტაციას ახდენს

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი საკონსტიტუციო კომისიის დისკრედიტაციას ახდენს:

„როდესაც პრეზიდენტი, ჩემი აზრით, ახდენს საკონსტიტუციო კომისიის და არა „ქართული ოცნების“ ან ხელისუფლების დისკრედიტაციას, სადაც ჩვენ შინაარსობრივად ვმსჯელობთ და განვიხილავთ საერთაშორისო გამოცდილებას და არ გამოვდივართ ვიწრო პოლიტიკური ინტერესებით და ამ შემთხვევაში ხდება ამ კომისიის დისკრედიტაცია, მეტიც, სპეკულაცია თემებით, რისი საფუძველიც პრეზიდენტს არ გააჩნია, ჩვენთვის მიუღებელია. ბატონი ირაკლი კობახიძის განცხადება შეიძლება ემოციურად ჩავთვალოთ, მაგრამ ის რეალობა უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი ემსახურება პოლიტიკურ სტაბილურობას და ვინც ამ სტაბილურობას შეუწყობს ხელს, ის იქნება სწორ გზაზე“, — განაცხადა სესიაშვილმა.

პრეზიდენტმ, „დაინტერესდით „რუსთავი-2“-ის საკუთრების უფლებით“!

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის ყოფილმა დამფუძნებელმა დავით დვალმა საქართველოს პრეზიდენტს „რუსთავი-2“-ის საკუთრების უფლებით დაინტერესებისკენ მოუწოდა.

„პრეზიდენტი კონსტიტუციის გარანტია. კონსტიტუციაში საკუთრების უფლების ხელშეუხებლობა დევს. როგორ შეიძლება, პრეზიდენტი აქცენტს აკეთებდეს მხოლოდ სიტყვის თავისუფლებაზე და არა საკუთრების უფლებაზე? მივმართავ პრეზიდენტს, დაინტერესდეს საკუთრების უფლებით“, — თქვა დავით დვალმა.

საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის თქმით კი, მან არ იცის, ვინ არის „რუსთავი-2“-ის სამართლებრივი მფლობელი, არც ის იცის, ვინ არის პოლიტიკური მფლობელი, თუმცა მარგველაშვილი ამბობს, რომ „რუსთავი-2“-ის, იმედის, მაესტროს, კავკასიის და ყველა ტელეკომპანიის პროდუქტის მფლობელი არის საზოგადოება.

ამ განცხადებით პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ცარიელი ლაყაფის გარდა არაფერი არ იცის. საქართველოში დღეს ყველას მოეხსენება, რომ „რუსთავი-2“-ის პოლიტიკური მფლობელი მიხეილ სააკაშვილი და მისი ნაცშპანაა, ტელეკანტორის დირექტორი ნიკა გვარამია კი პანდორას ყუთიდან ამოსული ჯოჯოხეთი... ვითომ პრეზიდენტი ამ ყველაფრის დაცვას სიტყვის თავისუფლების დაცვას ეძახის და მიშისტებისგან გაუბედურებულ—გაძარცვული ტელევიზიის ყოფილი მეპატრონეები ფეხგზე ჰკიდია!

ვაი, საცოდავო ქვეყანავ, ასეთი პრეზიდენტის ხელში!

ხალვაში პრეზიდენტს: „რატომ თვლი, თუ მიშა არ არის პატრონი „რუსთავი-2“- ის, ესე იგი ის გაჩერებულია“

ქიბარ ხალვაში პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადებას ეხმიანება:

„ბატონო პრეზიდენტო, რატომ ხმარობ სიტყვა გაჩერებას? რატომ თვლი, თუ მიშა არ არის პატრონი „რუსთავი-2“-ის, ესე იგი ის გაჩერებულია. სიტყვა სწორედ ვერ შეარჩიეთ თუ ასეთი ინტერპრეტაცია თქვენთვის რაიმე დივიდენდის მომტანია?“ — წერს ქიბარ ხალვაში სოციალურ ქსელში.

„რუსთავი-2“-ის გაჩერებით ძალიან დიდ დარტყმას მივაყენებთ ქართულ დემოკრატიას“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ჯანელიძის მერე, ევროსასამართლოში ქიბარ ხალვაში და პაატა სალია მივიდნენ

„რუსთავი-2“-ის ინფორმაციით, ქიბარ ხალვაში და პაატა სალია სტრასბურგში, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში მივიდნენ. ხალვაში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს „რუსთავი-2“-სა და საქართველოს სახელმწიფოს შორის დავაში მესამე მხარედ ჩართვის მოთხოვნით მიმართავს.

„სამართლის საძებნელად მოვედი. უნდა ჩავაბაროთ წერილი თხოვნით, რომ საქმეში მესამე მხარედ ჩაგვრთონ, ჩემი პირადი უფლებების დასაცავად, მათ შორის ქონებრივი უფლებების დასაცავად. დავა არის „რუსთავი-2“-სა და სახელმწიფოს შორის, რომელზე გამოტანილმა გადაწყვეტილებამ შეიძლება ჩემი უფლებები დააზარალოს. ამიტომ მოვედი ჩემი უფლებების დასაცავად. სულ რაღაც მეორედ ვარ აქ მოსული და ორივეჯერ სააკაშვილის გამო“, — განაცხადა ქიბარ ხალვაშმა. შეგახსენებთ, რომ ევროსასამართლოში ცოტა ხნის წინათ იმყოფებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელმაც შენობის დატოვების შემდეგ აღნიშნა, რომ სასამართლოში შეხვედრაზე საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრეს. საგარეო საქმეთა მინისტრმა არ დააკონკრეტა, ისაუბრა თუ არა სასამართლოში „რუსთავი-2“-ის საქმეზე. მან ასევე აღნიშნა, რომ არც პრეზიდენტს აქვს უფლებამოსილება კონკრეტულ საქმეებზე საუბრის.

მთავრობამ და სებ-მა ბევრი მნიშვნელოვანი საერთო რეფორმა დაგეგმეს

„საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა ბევრი მნიშვნელოვანი საერთო რეფორმა დაგეგმა, ამიტომ მნიშვნელოვანია, მონეტარული პოლიტიკა და ფინანსური ზედამხედველობა ერთი ინსტიტუციის ფარგლებში გაერთიანდეს“,

— აღნიშნული განცხადება ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ნიკოლოზ გაგუამ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის საპარლამენტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე გააკეთა. სხდომაზე დეპუტატებმა პირველი მოსმენით განიხილეს საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომლებიც საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ფუნქციის კვლავ ეროვნულ ბანკში დაბრუნების საკითხს ეხება. როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, ბოლო პერიოდში საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა ბევრი საერთო რეფორმა დაგეგმა, მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ლარიზაციის რეფორმაა.

„სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ მონეტარული პოლიტიკისა და ფინანსური ზედამხედველობის მოქცევა ერთი ინსტიტუციის ფარგლებში, სწორი გადაწყვეტილებაა,“ — განაცხადა ნიკოლოზ გაგუამ.

როგორც მან აღნიშნა, საქართველოს ეროვნული ბანკის საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ფუნქციის საკანონმდებლო დონეზე განმტკიცებისკენ გადადგმული ნაბიჯები ხელს შეუწყობს მონეტარული პოლიტიკისა და ფინანსური სტაბილურობის ურთიერთქმედების გაძლიერებას, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის გაღრმავებას.

პარლამენტის დელეგაცია გერმანიაში

საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ბერლინში, გერმანიის ბუნდესტაგში გერმანია-სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელის კარინ შტრენცის მიწვევით გაემგზავრა.

საქართველოს პარლამენტის დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში პარლამენტის წევრები: ნინო წილოსანი, ლევან კობერიძე, ზაზა ხუციშვილი, ანრი ოხანაშვილი, სერგო რატიანი და პარლამენტის აპარატის უფროსი ნიკოლოზ ნათენაძე არიან, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე სოფიო ქაცარავა ხელმძღვანელობს.

საპარლამენტო დელეგაციის წევრები მაღალი დონის შეხვედრებს გამართავენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. დაგეგმილია შეხვედრები ბუნდესტაგის ვიცე-პრეზიდენტთან და სხვადასხვა კომიტეტების ხელმძღვანელებთან. ასევე, შეხვედრები გაიმართება გერმანიის საგარეო საქმეთა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალურ სამინისტროებსა და ფედერალური კანცლერის სამსახურის წარმომადგენლებთან.

ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები გაიმართება ბერლინურ-ქართული და ბრანდერბურგულ-ქართული საზოგადოების წარმომადგენლებთან.

გერმანიაში, ქართველ კანონმდებელთა სამუშაო ვიზიტი 10 მარტამდე გაგრძელდება.

მიგრანტების საკითხი სებასტიან კურცის ფანტაზიის ნაყოფია

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის და ინფორმაციის დეპარტამენტი ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრის სებასტიან კურცის მოსაზრებასთან დაკავშირებით განცხადებას აქვეყნებს.

„ევროკავშირის ტერიტორიაზე მყოფი მიგრანტების გადანაწილების საკითხი ქართულ მხარესთან არასდროს, არც ერთ დონეზე ოფიციალურად არ დამდგარა. მათ შორის ამ საკითხს არ შეხებია თავად ბატონი კურცი არც საქართველოში სტუმრობისას და არც რაიმე სხვა ფორმატში.

ეს საკითხი საქართველოში დღის წესრიგში არ დგას, რადგან შეუძლებელია დღევანდელი ჩვენი გამოწვევების გამო ამ პროექტის განხორციელება“, — აღნიშნულია განცხადებაში.

უცხოურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სებასტიან კურცის მოსაზრებით, ევროკავშირის

ლტოლვილთა მიღების ცენტრები ევროკავშირის ფარგლებს მიღმა უნდა გაიხსნას. კურცი მიიჩნევს, რომ ასეთი ცენტრები **„შესაძლებელია განთავსდეს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა მაგალითად საქართველო, ეგვიპტე ან დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები“.**

მსჯავრდებული დეკანოზის ზიარება არ შეიძლება!

მეუფე დიმიტრიმ უნდა გადაწყვიტოს აზიარებენ თუ არა დაკავებულ დეკანოზს. როგორც საპატრიარქოს მსჯავრდებულებთან ურთიერთობის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, დეკანოზმა გიორგი თევდორაშვილმა განაცხადა, როდესაც მსჯავრდებულს წაყენებული აქვს ბრალი, მისი ზიარება არ შეიძლება.

„მამა გიორგი მამალაძის ზიარების საკითხი, მიტროპოლიტმა დიმიტრიმ უნდა გადაწყვიტოს. აღნიშნული სავარაუდოდ უახლოეს პერიოდში მოხდება“, — განაცხადა მამა გიორგიმ.

ე.წ. ციანიდის საქმეზე შორენა თეთრუაშვილი დაზარალებულად ცნეს

საპატრიარქოს იურისტის ედიშერ ქარჩავას ინფორმაციით, პატრიარქის მდივან-რეფერენტს შორენა თეთრუაშვილს ე.წ. ციანიდის საქმეზე დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა.

როგორც ქარჩავამ ჟურნალისტებს განუცხადა, თეთრუაშვილი პროკურატურამ რამდენიმე დღის წინათ დაკითხა.

ადვოკატის განცხადებით, საქმეზე საპატრიარქოს სხვა თანამშრომლებიც დაიკითხნენ, ისინი, ვისაც დაკავებულ დეკანოზთან კავშირი ჰქონდათ, თუმცა მათ შორის სასულიერო პირები არ ყოფილან.

დეკანოზ გიორგი მამალაძის ბინიდან ამოღებული იარაღი ირაკლი მამალაძეს ეკუთვნის?!

დეკანოზ გიორგი მამალაძის ბინიდან ამოღებული იარაღი, ე.წ. ციანიდის საქმის მთავარ მოწმეს ირაკლი

მამალაძეს ეკუთვნის, — ამის შესახებ მამა გიორგი მამალაძის ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ განაცხადა.

„ის იარაღი, რომელიც ამოიღეს დეკანოზ გიორგი მამალაძის ბინიდან, ირაკლი მამალაძეს ეკუთვნის. ძველით ახალ წელს მისულა მასთან, პრობლემა მაქვს პოლიციასთან, ამიტომ არ მინდა, სახლში მქონდეს და გთხოვ, შემინახეო. როცა იარაღი მიუტანა, მაშინ უკვე დაწყებული იყო საქმის მოკვლევა, როგორც ჩანს, იფიქრეს, თავი დავიზღვიოთ, საქმე გავამყაროთ მტკიცებულებითო და ირაკლი მამალაძემაც მიუტანა იარაღი. კარგად იცოდა, რომ შეუნახავდა. მამა გიორგიმ უთხრა კიდეც, თუ ეს იარაღი არაოფიციალურია, ჩააბარე პოლიციას და მოიშორეო. ცოტა ხანი იყოს შენთან და მერე წავიღებო. სწორედ ეს იარაღი ამოიღეს მამა გიორგის ბინიდან. პროკურატურას ნამუსი რომ ჰქონდეს, ცრუ დასმენისთვის ირაკლი მამალაძეს უნდა აგებინოს პასუხი, ამის ნაცვლად ის დაცვით დადის დღეს და უტიფრად გაიძახის, პატრიარქის მოწამვლა იგეგმებოდაო“, — განაცხადა მიხეილ რამიშვილმა.

პროკურატურამ საპატრიარქოდან დეკანოზ გიორგი მამალაძის პირადი დოკუმენტაცია ამოიღო

— **ამის** შესახებ ჟურნალისტებს საპატრიარქოს იურისტმა ედიშერ ქარჩავამ განუცხადა.

„რა ტიპის ინფორმაცია ამოიღეს, მე ამაზე კონკრეტულად ვერ გეტყვით. თუმცა, პროკურატურის წარმომადგენელი იმყოფებოდა ჩვენთან სასამართლო განჩინებით და მათთვის საინტერესო დოკუმენტაცია, რომელსაც კავშირი ჰქონდა მამა გიორგი მამალაძესთან, ამოიღეს“, — განაცხადა ედიშერ ქარჩავამ.

აბაშის გამგეობამ ჭყონდიდის ეპარქიას საჩუქრად გადაცემული „ნივა“ ჩამოართვა

აბაშის **გამგეობამ ჭყონდიდის ეპარქიას, რომელიც აბაშისა და მარტვილის მუნიციპალიტეტებს მოიცავს და რომელსაც მიტროპოლიტი პეტრე ხელმძღვანელობს, 2012 წელს გადაცემული „ნივა“ ჩამოართვა.** გამგებლის, მამუკა კვიტაშვილის განცხადებით, ავტომობილის ჩამორთმევა ხელშეკრულების ვადის ამოწურვას უკავშირდება და არავითარი კავშირი არ აქვს მიტროპოლიტ პეტრე ცაავას მიერ ბოლო პერიოდში გაკეთებულ ხმაურიან განცხადებებთან.

როგორ იზრდება ტურიზმი?

საგარეო **სავაჭრო ბრუნვის ზრდის სტატისტიკის შემდეგ საქართველოს მთავრობამ ტურიზმის საგრძნობი ზრდის შესახებაც გამოაცხადა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცნობით, 2017 წლის იანვარ-თებერვლის მონაცემებით, საქართველოს 755 ათასზე მეტი საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 71 ათასით, ანუ 10.5 %-ით მეტია, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. რა იმალება ამ რიცხვების უკან?**

თებერვლის მიწურულს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა საზოგადოებას სხვადახვა ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდის შესახებ ამცნეს. მათ შორის იყო ტურიზმის სტატისტიკაც, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ გამოაქვეყნა. 1 მარტს გამართულ ბრიფინგზე ქეთი ბოჭორიშვილმა პრესას საერთაშორისო მოგზაურთა მზარდი რაოდენობის ამსახველი რიცხვები გააცნო:

„2017 წლის იანვარ-თებერვლის მონაცემებით, საქართველოს 755 080 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 10.5 %-ით (71 519) მეტია, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2017 წლის იანვარ-თებერვალში იმ ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი გაატარეს საქართველოში, 294 001 შეადგინა, რაც 24.3 %-ით (57 417) მეტია 2016 წლის იანვარ-თებერვლის მაჩვენებელზე“.

ქეთი ბოჭორიშვილმა იანვარ-თებერვალში საერთაშორისო მოგზაურების — ვიზიტორების, ანუ იმ უცხოელების რაოდენობის 10,5-პროცენტიანი ზრდა ახსენა, რომლებმაც საქართველოს საზღვარი გადმოკვეთეს. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ეს რიცხვი განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო იანვარში, ხოლო თებერვალი უფრო მოკრძალებული აღმოჩნდა. ტურისტული კომპანია „ჰელისკი ჯორჯიას“ დამფუძნებლისა და ტურიზმის ექსპერტის ვატო ასათაშვილის განმარტებით, თებერვლის თვეში ვიზიტორების რაოდენობა მხოლოდ 2 პროცენტით გაიზარდა.

„იანვარი იყო ძალიან საინტერესო, იანვარში ვიზიტორთა საკმაოდ მკვეთრი მატება გვქონდა, რამაც ძალიან გაგვახარა. თუმცა თებერვალმა დაგვანახა, რომ ვიზიტორთა ზრდა არც თუ ისე დიდია, 2 პროცენტია, რაც ცოტაა. თებერვალში დავბრუნდით ისევ იმ დონეზე, როგორიც იყო 2016, 2015 წლებში.“

სახელმწიფოს მხრიდან ვერ ვხედავთ კონკრეტული პროექტების განხორციელებას ტურისტული ინფრასტრუქტურის მხრივ. საუბარი არ არის მხოლოდ გზებზე და დამხმარე ინფრასტრუქტურაზე...

მთავრობის წარმომადგენლები თავს იწონებენ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, იანვრის თვეში საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური გადახდის ბარათებით განხორციელებულმა ოპერაციებმა თითქმის 153 მილიონი ლარი შეადგინა, რაც, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 37 %-ით მეტია. საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში კი ტურიზმის წილი 7 პროცენტის ფარგლებშია, ანუ დაახლოებით იმდენივეა, რა წილიც უკავია სოფლის მეურნეობას.

კახა მჭედლიძე

ნაცბანდა - კოლექტიური ტერორისტი!

პრეზიდენტი მარგველაშვილი ცრუსთავორელთა მხარდამჭერია!..

2 მარტს, როგორც იქნა, სამართლებრივი წერტილი დაესვა „რუსთავი-2“-ის ირგვლივ ატეხილ გაუთავებელ-დაუსრულებელ საერთო-ეროვნულ შფოთსა და უსამართლობის მუცლის გვრემას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებით, რომელსაც ცხრავე მოსამართლე აწერს ხელს, „რუსთავი-2“-ის წილები, რაც წლების მანძილზე დავის საგნად იყო ქცეული, სრულად გადაეცა მის კანონიერ მფლობელს ქიბარ ხალვაშს.

ყველა ნორმალურ ქვეყანაში, მით უფრო ისეთ დემოკრატიულ სახელმწიფოში, როგორიც საქართველოა, საზოგადოებამ პატივი უნდა სცეს სასამართლოს გადაწყვეტილებას და მიიღოს ის სავალდებულო შესასრულებლად. მაგრამ ისეთი დემოკრატიის ყასაბი თუ გეყოლება ქვეყანაში, როგორიც ცრუსთავიორია, განა შეიძლება ნამდვილ დემოკრატიაზე ოცნებო? ეს მხოლოდ ოცნების ხელისუფალთ შეუძლიათ და რა „ჩიტსაც იჭერენ“, ეს ამ დღეებშიც გამოჩნდა, როცა ცრუქაქუნა გვარამიას მოწოდებით ტელეარხის ჟურნალისტებმა და მათმა მხარდამჭერებმა ჯერ კიდევ განაჩენის გამოტანამდე, უზენაეს სასამართლოსთან საპროტესტო აქცია უწყვეტ რეჟიმში წარმართეს და ხელისუფლებას თავისუფალი სიტყვის მოხრჩობის ბრალდება წაუყენეს.

განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა ნაცხროვის ცნობილი ლიდერის ნუგზარ წიკლაურის განცხადება, რომელმაც მთელ ერს ქუჩაში გამოსვლისკენ და აშკარა სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოუწოდა. შეუძლებელია, თქვა მან, კომპრომისი რუსეთიდან შემოგზავნილ მილიარდერთან, იმიტომ, რომ ასეთი დათმობა ჩვენი მხრიდან იქნება ლაჩრობა. **თუ ასეთი გადაწყვეტილება იქნება, მაშინ მე მოვუწოდებ საქართველოს მოსახლეობას გამოვიდეს ქუჩაში და წალეკოს ეს ხელისუფლება!**

სულგაყიდულ ნაცებს ხელისუფლებასთან (მართალია „უქნარასთან, მაგრამ მაინც ხელისუფლებასთან) „ომის“ მოსაგებად საკუთარი შესაძლებლობები ეცოტავა და დახმარებისთვის მოძმე ოპოზიციურ პარტიებს შეეხმიანნენ. მათაც არ დააყოვნეს, გაერთიანდნენ (9 პოლიტიკური პარტია), სასწრაფოდ შეიმუშავეს მანიფესტი და პირობა დადეს, რომ ქვეყანაში თავისუფალი სიტყვის ხელშეუხებლობისთვის „რუსთავი-2“-თან ერთად ხმალჩაუგდებლად იბრძოლებენ. **მათი აზრით, „რუსთავი-2“-ის საქმე არის წითელი ხაზი, რომლის მიღმაც ქვეყანაში უკონტროლო პროცესები დაიწყება!**

როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, თავისუფალი სიტყვისთვის მებრძოლ დონკიხოტებს უმალ აუბეს მხარი ჩვენმა უცხოელმა კეთილისმყოფელებმა. ისინი, ეტყობა, „ნანობენ“, რომ თავის დროზე ხმა ვერ აღიმაღლეს გიჟვრაცუა საკაშვილის მიერ ვანდალურად დარბეული ქართული მედიის (ტელეარხები „იმედი“, „იბერია“, გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამოყრილი ათეულობით გაზეთის რედაქცია) გამო და ახლა პატარა გაფაჩუნებაზეც მალაყებს ისვრიან. **ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა, მაგალითად, არ იკმარა „რუსთავი-2“-ის საქმის გამო თავისი ელჩის მოკრძალებული აღშფოთება და თავის ყოველწლიურ ანგარიშში საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვა სრულად გააკონტროლოს არა მარტო სასამართლო სივრცე, არამედ მედიათავისუფლებისა და სიტყვის თავისუფლების მოსალოდნელი შეზღუდვის არეალიც.**

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განცხადებას აკეთებს ევროპის სახალხო პარტიის ვიცეპრეზიდენტი იაცეკ სარიუშ ვოლსკი და საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის ამოქმედების შეჩერების ინიციატივით გამოდის. ევროკავშირს აქვს ყველა საბაბი, ამბობს ის, თავი იგრძნოს მოტყუებულად. **ქართველი ხალხი იმსახურებს უვიზო რეჟიმს, მაგრამ არა ეს მთავრობა, რომელიც კულისებიდან იმართება ივანიშვილის მიერ. ის მიმართავს კომისიას, სავიზო რეჟიმის ამოქმედების გადაწყვეტილების გამოქვეყნება შეაჩეროს.**

„რუსთავი-2“-ის საქმეზე „მსოფლიო სკანდალი“ გრძელდება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ზუსტად 24 საათში საზოგადოება ახალი უკანონობის მომსწრე გახდა. **სტრასბურგის სასამართლოს მორიგე მოსამართლემ, სარჩელის შეტანიდან რამდენიმე საათში მიიღო გადაწყვეტილება და საქართველოს უზენაესის გადაწყვეტილების აღსრულება შეაჩერა 8 მარტამდე, ვიდრე სტრასბურგის სასამართლო დეტალებში გაერკვევა, ამასთან, მოითხოვა, ხელისუფლებამ თავი შეიკავოს ტელეკომპანიის სარედაქციო საქმიანობაში ყოველგვარი ჩარევისგან.**

მოდავე მხარეებსაც მეტი რა უნდოდათ, უმალ წამოჰყვეს თავი და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საკუთარ ინტერესებს მოარგეს. მანიაკმა გვარამიამ სასწრაფოდ გამართა ბრიფინგი და მომხრეებს შეუძახა: გამაგრდით ხალხო, მსოფლიო სამართალი ჩვენს მხარეზეა და ოლიგარქი ივანიშვილი ველარაფერს დაგვაკლებს. მოხდა სრულიად უპრეცედენტო რამ, არც საკუთრების უფლებასთან მიმართებით და არც გამოხატვის უფლებასთან მიმართებით, სტრასბურგის სასამართლოს მსგავსი გადაწყვეტილება არასოდეს მიუღია. ეს არის ისტორიული შემთხვევა, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საქართველოში მიმდინარე სამარცხვინო პოლიტიკურ პროცესებს.

თავის მხრივ სტრასბურგის გადაწყვეტილება მოიწონა საქართველოს მთავრობამაც. ძალიან კარგია, რომ „რუსთავი-2“-ის საქმეში ჩაერია ევროპული სასამართლო, განაცხადა იუსტიციის მინისტრმა წულუკიანმა. **უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება შეაჩერა არა სტრასბურგის სასამართლომ, არამედ მორიგე მოსამართლემ. აი, ჩვენ წარვადგენთ ყველა საჭირო დოკუმენტაციას და ნათელი გახდება, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულია ორ მესაკუთრე სუბიექტს შორის დავის საფუძველზე და ბრალდება, რომ ხელისუფლებას თავისუფალი სიტყვის ჩახშობა სურს, მტკნარი სიცრუე და დეზინფორმაციაა.**

თუმცა მთავრობის მხრივ ასეთი თავდაჯერება მაშინვე ფერმკრთალდება, როცა გვახსენდება, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი ამ პროცესს სულ სხვა განხრით მიერეკება. იგულისხმება ქვეყნისათვის გულდამწვარი მარგველაშვილის მიერ ბოლო პერიოდში მედიისთვის მიცემული ინტერვიუები და განცხადებები, საიდანაც ირკვევა, რომ ერთ დროს პარტიებსა და პოლიტიკურ შეხედულებებზე მაღლა მდგომი, ღრუბლებში მფრინავი პრეზიდენტი ერთბაშად მიწაზე დაეშვა და უცაბედად, ისე რომ თვითონაც არ უნდოდა, ზღართანი ავაზაკი მიშნაცების ბანაკში მოადინა. **არაო, აცხადებს ამ რეალობით შეცბუნებული მთავარსარდალი, მე „რუსთავი-2“-ის საქმის სამართლებრივ მხარეს არ ვეხები (რომ შეხებოდა, ალბათ, უზენაესის გადაწყვეტილებაზე „ვეტოსაც“ არ დაიშურებდა!), ამ არხს იმიტომ ვექომაგები, რომ ის არის ხალხთან კრიტიკული აზრის ერთადერთი მიმტანი, ურომლისოდაც ქვეყანაში თავისუფალი სიტყვა დაგვეკარგებოდა და დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესი ჩამოგვეშლებოდაო.**

ჩვენი მოფილოსოფოსო პრეზიდენტი როცა ასეთ განცხადებას აკეთებს, რატომღაც არ სურს საკუთარ თავს დაუსვას კითხვა: **ეს ჩვენი კრიტიკის ეტალონად აღიარებული „რუსთავი-2“ თუ მართლა თავისუფალი სიტყვის მებაირახტრეა და არა დეზინფორმატორი, რომელიც საზოგადოებაში თესავს ეჭვს, ამახინჯებს ფაქტებს, ახდენს ხელისუფლებისა და სახელმწიფოს ინტერესების დისკრედიტაციას, რატომ ერთხელ მაინც თავისი კრიტიკის იარაღი არ მიუმართავს იმ მოღალატე ხელისუფლებისადმი, რომელიც თავისი ანტიეროვნული პოლიტიკით კარგავდა ქვეყნის ტერიტორიებს, ანადგურებდა ეკონომიკას, აწამებდა ადამიანებს. მორალურად და ზნეობრივად რყვნიდა საზოგადოებას.** არავითარი სურვილი არ მაქვს, პრეზიდენტს პოლიტიკური სიბეცე დავწამო, მაგრამ თუკი ის ემხრობა ქვეყნის მაოხრებელი ძალის რუპორს — „რუსთავი-2“-ს, ხომ არ ნიშნავს, რომ ის მხარს უჭერს იმავე მაოხრებელი ძალის სურვილს — თუ მშვიდობიანი გზით საწადელს ვერ მიაღწია, მაშინ ძალის გამოყენებით წალეკოს მოქმედი „უქნარა“ ხელისუფლება? **დამნაშავე მიშნაცების ბანდის ნარჩენების (ბოკერიები, წიკლაურები, მელიები, „გირჩები“, „ქინძები“ და სხვები) ხელში „რუსთავი-2“ არის სწორედ ის დეზინფორმატორი და კოლექტიური ტერორისტი, რომელიც აქტიურად მუშაობს საზოგადოების აფეთქებაზე(!).**

დამნაშავე მიშნაცების ბანდის ნარჩენების (ბოკერიები, წიკლაურები, მელიები, „გირჩები“, „ქინძები“ და სხვები) ხელში „რუსთავი-2“ არის სწორედ ის დეზინფორმატორი და კოლექტიური ტერორისტი, რომელიც აქტიურად მუშაობს საზოგადოების აფეთქებაზე(!).

განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა ნაცხროვის ცნობილი ლიდერის ნუგზარ წიკლაურის განცხადება, რომელმაც მთელ ერს ქუჩაში გამოსვლისკენ და აშკარა სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოუწოდა. შეუძლებელია, თქვა მან, კომპრომისი რუსეთიდან შემოგზავნილ მილიარდერთან, იმიტომ, რომ ასეთი დათმობა ჩვენი მხრიდან იქნება ლაჩრობა. თუ ასეთი გადაწყვეტილება იქნება, მაშინ მე მოვუწოდებ საქართველოს მოსახლეობას, გამოვიდეს ქუჩაში და წალეკოს ეს ხელისუფლება!

პრეზიდენტისგან განსხვავებით, ალღოს ნამდვილად ვერ დავუწუნებ „რუსთავი-2“-ის წილების მომავალ მფლობელს — ხალვაშს, დვალსა და აქიმიძეს, რომლებიც პირობას დებენ, რომ ტელეარხს ცენზორებად არ მოევლინებიან, არ შეუცვლიან სარედაქციო პოლიტიკას, ოღონდ მას გაათავისუფლებენ სააკაშვილის პარტიული მარწუხებიდან და აქცევენ თავისუფალ კომერციულ ტელეკომპანიად. აბა რიღასი ან ვიღასი ეშინიათ ცრუსთავორელებს? ალბათ, ივანიშვილისა, რომელზეც ფიქრობენ, რომ ასწლოვანი ხეების გადატანას დროებით შეეშვება და „რუსთავი-2“-ის მენეჯმენტს ჩაუჯდება(!?).

ვერაფერს იტყვი, მართლაც მძიმე პირობებში უწევს მოღვაწეობა „ოცნების“ ხელისუფლებას. ქვეყანაში თითქმის აღარ დარჩა მშვიდად მომუშავე ავტორიტეტული ინსტიტუტი, ერთი ეკლესია იყო შემორჩენილი და იქაც ვხედავთ რა წყალქვეშა დინებები განვითარდა. გაგვიანწყენდნენ ევროპელი პარტნიორებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ საქართველოს ხელისუფლება მათ ვირეშმაკულად მოექცა, წინა დღეს ხელი მოაწერეს ვიზალიბერალიზაციაზე, მეორე დღეს კი სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა. ამან თავად სასამართლო სისტემაც აზარალა. ადამიანებს უკვე ნაკლებად სჯერათ სასამართლოსი, რაც ბევრად უფრო მძიმე შედეგის მომტანია, ვიდრე მედიათავისუფლება და მედიაპრულარიზმი. არადა, ამ ხელისუფლებას შეიძლება ბევრ რამეზე დაემდურო, მაგრამ მედიათავისუფლების შეზღუდვას ნამდვილად ვერ დააბრალებ, დღეს რომელ ტელეარხსაც როგორ მოეპრიანება, იმ „პესნაზე“ ლაყბობს (ამის მაგალითი თავად „რუსთავი-2“-ია).

თავად ხელისუფლება კი იმის მაგივრად, რომ რაიმე გონივრული იღონოს, მაზოხისტურად იქცევა და ამ უარყოფითი რეაქციებიდან თითქმის სიამოვნებასაც იღებს. მთავრობას ისიც ვერ მოუხერხებია, მასთან მოდავე უცხოეთს აჩვენოს, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება შეეხება ქონებრივ დავას და არა თავისუფალი სიტყვის დევნას.

ARADA, ISMEBA KITXVA: VIN IQNEBA IS JALA, ROMELIC XELISUFLEBIS AM ZOWINA GANCXROMAS SEAHEREBS? XALXI, ALBATI, XALXI, ROMELSAC, BOLOS DA BOLOS, MOTMINEBIS FIALA AEVSEBA DA MIIRIEBS IM GADAWYVETILEBAS, ROMELIC QVEYNIS MAOXREBEL NACEBTAN ERTAD ARANAKLEB MTKIVNEULI IQNEBA TAVAD ARCHEVNEBSHI ORJERI NDOBABAMOCXADEBULI OCNEBISTVISAC.



OTAR XUCISHVILI

რასაცა გასცემ...

მამულის სიყვარულში დაუღლელი კაცი

ადამიანი, რომლის ცხოვრებაზე, სასახელო საქმეებზე უნდა გიამბოთ, პირველივე შეხედვისთანავე მიიპყრობს თქვენს ყურადღებას. იგი საინტერესო პიროვნებაა — წარმოსადეგი აღნაგობის, სახენათელი, ჭარმაგ ასაკშიც ახალგაზრდული შემართება იგრძნობა მის მოძრაობასა თუ საუბარში. მის სიტყვებს ყოველთვის თავისებური სითბო და ხიბლი ახლავს, გურული იუმორით განზავებული.



ეს კაცი ამირან ზაქროს ძე მექვაბიშვილია, რომელიც შეიძლება ითქვას, საუკუნეს უახლოვდება... მის ამ ფიზიკურ თუ სულიერ სრულყოფილებას ასაზრდოებს არამარტო მშობლების მიერ თავის დროზე გაწეული მზრუნველობა და ლოცვა, არამედ აგრეთვე იმ ადამიანების პატივისცემა და დიდი სიყვარული, რომელთათვისაც ბატონ ამირანს გაუწევია დიდი ერთგულება, სამსახური თავისი ცხოვრების მანძილზე....

ამირან მექვაბიშვილი ამ სიჭარმაგემდე ნაღდი კაცური ცხოვრებით მოვიდა. იგი დაიბადა ლანჩხუთის რაიონის ზღვისპირა სოფელ გრიგოლეთში, მოსამსახურის ოჯახში. მამას, სპეციალობით ტექნოლოგს, მთელი ცხოვრება თევზის მრეწველობაში უმუშავია, რის წყალობითაც (დიდი სამამულო) ომის მძიმე წლებში პატარა ამირანი მთელ სოფელს უხსნიდა მარილის პრობლემას...

სოფლის იმედად ითვლებოდა ამირანის დედა, ქალბატონი ლოლა კვაჭაძე, იგი სპეციალობით ექთანი იყო და ყველა შეჭირვებულს უფასოდ ეხმარებოდა.

ბატონმა ამირანმა, მისი ბებიის, ქალბატონ მატრონე კუპრაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, მაშინ ე.წ. „რაიკომის სამდივნო“ — ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა ქ.გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში და მასწავლებლად დაიწყო მუშაობა ნატანების საშუალო სკოლაში.

მოკლე ხანში იგი ინსტიტუტის განაწილებით ახალციხეში პიონერთა სახლის დირექტორად დაინიშნა, შემდეგ კი პარტიის რაიკომში — ჯერ ინსტრუქტორად, შემდეგ კი აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგედ დააწინაურეს. მისი თავდადებული, მონდომებული მუშაობა ყველამ შენიშნა, მოიწონა, განსაკუთრებით კი საქართველოს მაშინდელმა პირველმა თავკაცმა ვასილ მჟავანაძემ, რომელმაც ამირანი ადიგენის პირველ მდივნად წარადგინა, ხოლო ამავე თანამდებობაზე შემდეგ ახალციხეში გადაიყვანა.

მიზანი - მესხეთის ამაღლება

დაუვიწყარია ამირან მექვაბიშვილისთვის მესხეთში პარტიულ სამუშაოზე ყოფნა. ეს მისთვის არა მარტო ცხოვრების სკოლა, არამედ საკუთარი ძალების, საკუთარი უნარის დიდი ასპარეზიც იყო. მან მესხეთში მუშაობის პერიოდში გაიცნო ადიგენის, ახალციხისა და ასპინძის სამეურნეო-პარტიული აქტივი, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იყო რესპუბლიკის უმაღლეს პარტიულ ხელმძღვანელობასთან სიახლოვე, ურთიერთობა, ესენი იყვნენ: საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი სოფლის მეურნეობის დარგში შოთა ჭანუყვაძე, იდეოლოგიის დარგში მიხეილ გოგიჩაიშვილი და, რასაკვირველია, ვასილ მჟავანაძე.

ეს ადამიანები არაერთხელ იყვნენ მესხეთში საქმიანი ვიზიტით და მას ბევრ რამეშიც მხარში ამოუდგნენ, დაეხმარნენ. ამირან მექვაბიშვილი სამართლიანად ამაყობს იმით, რომ მისი პირველი მდივნობისას ადიგენისა და ახალციხის რაიონებში გაკეთდა არაერთი გზა, ხიდი, აშენდა საცხოვრებელი სახლები, სკოლები, კულტურის სახლი და სხვა.

ამირანი, როგორც პარტრაიკომის პირველი მდივანი, აღფრთოვანებით შეხვდა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის ერთ-ერთი გამოშვების ყველა წევრის გადაწყვეტილებას: ყველანი ერთად წასულიყვნენ და დამკვიდრებულიყვნენ ახალციხეში, აეღორძინებინათ და ახალი სიცოცხლე შთაენერგათ ადგილობრივი თეატრისთვის. ახალდამთავრებულ თეატრალებს სათავეში ჩაუდგა რეჟისორი ნანა დემეტრაშვილი. მათ ამირანს გააცნეს თავიანთი გეგმები, რასაც ამირანმა გულწრფელად დაუჭირა მხარი და აღუთქვა დახმარება... სულ მალე ამირანი თბილისში გადმოიყვანეს, თუმცა მათთან კავშირი არ გაუწყვეტია...

მე კვლავ თქვენთან ვარ, ძვირფასო მესხებო!

ამირან მექვაბიშვილი 1972 წელს პარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისგან გაანთავისუფლეს და თბილისში პარტიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად აიყვანეს. ამირანს ორიენტაცია არ დაუკარგავს და სულ რამდენიმე წელიწადში შეძლო როგორც ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, ისე დოქტორის ხარისხის დაცვა, მოპოვება. დღეს კი ამირან მექვაბიშვილი ამავე დროს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი და მისი ვიცეპრეზიდენტია.

ინსტიტუტში ყოფნისას ამირანმა დაიწყო ლექციების კითხვა საქართველოს პოლიტექნიკურ და სამედიცინო ინსტიტუტებში. ისე, რომ საკმაოდ დატვირთული გახლდათ.

მიუხედავად ამისა, ბატონ ამირანს არ დავიწყებია მშობლიური მესხეთი და ფიქრობდა მასთან საქმიანი კავშირი არ გაწყვეტოდა. ამირანი ხშირად ხვდებოდა მესხეთის თანამშრომლებს.

ერთ-ერთი შეხვედრისას დაიბადა აზრი — შეექმნათ საზოგადოებრივი ასოციაცია, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში ყურადღებას მიაქცევდა ამ მხარის მოსახლეობის გადაუდებელი, საჭირბოროტო საკითხების მოგვარებას, გადაჭრას. ამირანმა და მისმა მესხმა კოლეგებმა ჩანაფიქრი რეალობად აქციეს და შექმნეს ასოციაცია, რომლის საბოლოო ოფიციალური სახელწოდება განისაზღვრა: „მესხეთი-2001“.

ასოციაცია „მესხეთი-2001“ სულ მალე შეუდგა პროგრამით გათვალისწინებული მიმართულებების განხორციელებაზე ზრუნვას, მოქმედებას. უპირველეს ყოვლისა, დახმარება ესაჭიროებოდა მესხეთის სოციალურ-ეკონომიკურ ყოფას.

ასოციაცია შეეცადა ხელი შეეწყო სოფლად მიწის ნაკვეთების სწორად განაწილებისთვის უმუშევრობის ლიკვიდაციისთვის და ა.შ.

ასოციაცია „მესხეთი-2001“-ს უნდა მოეფიქრებინა კონკრეტული ღონისძიებები სხვადასხვა დარგის საჭირო კადრების, სპეციალისტების მოსამზადებლად.

ასოციაციამ საქართველოს განათლების სამინისტროს მართლაც მიმართა თხოვნით, რომ მესხებისთვის (იქაური მოსწავლეებისთვის) გამოეყოთ ლიმიტები სახელმწიფო, უფასო სასწავლებლებში მათი უკონკურსოდ ჩარიცხვისთვის.

ამასთან ერთად, ასოციაცია „მესხეთი-2001“-ის ხელმძღვანელობა ფიქრობდა საკუთარი დაქვემდებარების კერძო სასწავლებლებში მესხებისთვის პირობების (სწავლის ქირის შემცირება) გაუმჯობესებას.

ასოციაცია იღვწოდა აგრეთვე მხარის კულტურული წინსვლისთვის. ფაქტია, მესხეთში არსებობს ხალხური თვითმოქმედების მდიდარი ტრადიციები (ცეკვის, სიმღერის, თეატრალური წარმოდგენების), რაც უნდა აღდგენილიყო და განვითარებულიყო.

ჩვენ შეგვიძლია დღეს თამამად შევაფასოთ და განვაცხადოთ თუ როგორ მუშაობს ეს ასოციაცია და როგორ ხორციელდება მის მიერ მიღებულ-დამტკიცებული მუშაობის ძირითადი მიმართულებანი.

თუ კარგად გავითვალისწინებთ ასოციაცია „მესხეთი-2001“-ის წევრებისა და ადგილობრივი აქტივისტების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, მათ პირველ თვალსაჩინო შედეგებს, ჩვენ ერთადერთი უფლება გვრჩება, რომ ულრმესი, გულითადი მადლობა ვუთხრათ ამ საქმის ორგანიზატორს, პატივცემულ ამირან მექვაბიშვილს, რომელსაც, შეიძლება ითქვას, საკუთარი სიცოცხლესავით უყვარს მესხეთი და მისი ადამიანები. როგორ მიაღწია მან ამას? ასოციაცია „მესხეთი-2001“-ის პრეზიდენტი, 85 წლის კაცი მუხლჩაუხრელი გულმოდგინებით იგი წელიწადში 3-4-ჯერ მიდის, დაიარება მშობლიურ მესხეთში. ასოციაციის ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონებში, მის სოფლებში, მთასა თუ ბარში, შეიძლება ითქვას, იგი მაჯას უსინჯავს ყველა საქმეს.

ამირანს უყვარს თავისი სპეციალობა ისტორია, სოციალურ მოვლენათა ანალიზი და სხვა. მას არაერთი წიგნი აქვს გამოცემული ქცევის კულტურაზე, ქართული ოჯახის ტრადიციებზე. ყველასთვის საინტერესო აღმოჩნდა ამირან მექვაბიშვილის წიგნი „ოცი წელი მესხეთში“.

2002 წელს მადლიერმა მესხებმა ამირან მექვაბიშვილი აღიარეს წლის საუკეთესო ადამიანად.

ბატონი ამირანი ამავე დროს თავისი საგვარეულოს მექვაბიშვილების ხელმძღვანელია, მათი ურთიერთობისა და სიახლოვის ორგანიზატორი. ამირანი როგორც ასოციაცია „მესხეთი-2001“-ისა და მექვაბიშვილების საგვარეულოს პრეზიდენტი ცდილობს, პერიოდულად მოაწყოს გამოჩენილი მესხებისა და მათთან ერთად მექვაბიშვილების ხსოვნის საღამოები, რაც ყველას მოწონებას იმსახურებს. ამ ღონისძიებას საფუძვლად უდევს შთაგონება: „სიკეთე და ღვაწლი არ უნდა იკარგებოდეს“.

ამირან მექვაბიშვილის ინიციატივით დედაქალაქში დაფუძნდა ორგანიზაცია „გავამწვანოთ თბილისი“, რომლის მენეჯერია თვითონ, ხოლო თავმჯდომარე — ანზორ კუპატაძე. მათ კარგი ჩანაფიქრი აქვთ. როგორც კი გაზაფხულდება და გათბება — დაიწყება მცენარეთა დარგვა იქ, სადაც უფრო აუცილებელი და მიზანშეწონილი იქნება.

წარმატება ვუსურვოთ ბატონ ამირან მექვაბიშვილს ყველა მის კეთილშობილური საქმეების განხორციელებაში როგორც მესხეთში, ისე მთელ საქართველოში.

ამირან მექვაბიშვილი ორასზე მეტი შრომისა და 25 წიგნის ავტორია. ის დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, მათ შორის ღირსების ორდენით. არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, თადარიგის ვიცეპოლკოვნიკი.

ამირანს 4 შვილი, 9 შვილიშვილი, 15 შვილთაშვილი, 1 შვილიშვილის შვილი ჰყავს და კიდევ 2 გზაშია.

ამირან მექვაბიშვილი კვლავ შემართებით იღვწის და ახალ გამარჯვებებს გვპირდება.

ხვთისავარ არჩემაშვილი,
გიორგი ახმეტელი,
გურამ გუნავა,
გივი მერაბიშვილი,
პავლე ნარიმანიშვილი.

ტურისტულ სეზონს ქობულეთი განახლებული სანაპირო ზოლით შეხვდება

საავტომობილო გზების დეპარტამენტი ქობულეთში, თამარ მეფის ქუჩაზე, სანაპირო ზოლის ნაპირსამაგრ სამუშაოებს ახორციელებს. ზაფხულში ტურისტებს, დამსვენებლებსა და ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ექნებათ, განახლებული, დაცული სანაპირო ზოლით ისარგებლონ. მიმდინარე სამუშაოები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ზურაბ ალავიძემ საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

პლაჟწარმომქმნელი მასალის მკვეთრი დეფიციტის გამო სანაპირო ზოლი არასტაბილური მდგომარეობით გამოირჩევა. მისი პარამეტრები ვერ უზრუნველყოფს შტორმული ტალღების ჩახშობას, რაც იქ არსებულ საფეხურებიან ნაპირდამცავ კედელს აზიანებს. განსაკუთრებული ზიანი მას 2014—2015 წლებში მიადგა.

სანაპირო ზოლის დასაცავად და არსებული პრობლემების მოსაგვარებლად მოხდება სანაპირო ზოლის პარამეტრების გაზრდა. ავარიულ უბანზე განხორციელდება 195 000 m^3 მოცულობის პლაჟშემქმნელი მასალის შეტანა. სამუშაოების განხორციელების შემდეგ, გაიზრდება სანაპირო ზოლის პარამეტრები, შემცირდება შტორმის დროს ნაპირსამაგრ საფეხურებიან კედელზე ტალღების ზემოქმედებაც.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისი ღირებულება 2 271 087 ლარს შეადგენს. პროექტი მიმდინარე წლის 14 თებერვალს დაიწყო და აპრილის ბოლოსთვის დასრულდება, სამუშაოებზე კი 50 ადამიანია დასაქმებული.

აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის გეგმა 93,1%-იანი გადაჭარბებით შესრულდა

აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის გეგმა 93,1%-იანი, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის გეგმა 72,5%-იანი გადაჭარბებით შესრულდა. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2017 წლის იანვარ-თებერვლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გეგმა 24 მლნ 873 ათას 600 ლარი იყო, თუმცა შესრულებამ 48 მლნ 20 ათას 500 ლარი, ანუ 193,1%-ი შეადგინა.

სამინისტროს ინფორმაციით, რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადების მუხლი, ორი თვის მონაცემებით, 179,2%-ით შესრულდა, სხვა შემოსავლების მუხლი 255,8%-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების (კლება) მუხლი 628,5%-ით.

რაც შეეხება ორი თვის ნაერთი ბიუჯეტის გეგმას, ის 30 მლნ 694 ათას 400 ლარი იყო, თუმცა გეგმა 72,5%-ით გადაჭარბდა და შესრულებამ 52 მლნ 955 ათას 400 ლარი შეადგინა.

საბიუჯეტო მონაცემები ცხადყოფს, რომ აჭარის ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების მუხლი 64,7%-იანი გადაჭარბებით, სხვა შემოსავლების მუხლი 85,7%-იანი გადაჭარბებით, ხოლო არაფინანსური აქტივების (კლება) მუხლი 151,2%-იანი გადაჭარბებით შესრულდა.

რაც შეეხება თვითმმართველ და მუნიციპალურ ბიუჯეტებს მათი შესრულების მონაცემები ასე გამოიყურება: ბათუმი — 111,4%-ი, ქობულეთი — 21,9%-ი, ხელვაჩაური — 64,4%-ი, ქედა — 62,6%-ი, შუახევი — 86%-ი და ხულო — 179,9%-ი.

კურიოზთა ყულაბა – XXI საუკუნის მიდგომებით

ისევ რა საოცრად ემთხვევა ერთმანეთს სოციალისტური გლობალიზმისა და ლიბერალური გლობალიზმის აზრობრივი თავისებურებანიც და მეთოდებიც, მიზნებიც და ამოცანებიც...

— არსებობს ერთი უცნაური კანონზომიერება. ცხოვრებაში უამრავი კურიოზი ხდება, მაგრამ, როგორც კი ცოტაოდენი ხანი გამოხდება, მას ან საერთოდ არავინ იჯერებს ან მეტად ძნელად. კურიოზის უშუალო მოწმესაც კი ეპარება ზოგჯერ ეჭვი — მართლა შეესწრო იგი ამ ამბავს თუ არა?

ამას აკაკი ბაქრაძე აღნიშნავს მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებაში „ცამეტი წელიწადი კინოში“ და დასძენს, რომ ადამიანის ეს თვისება კარგიც არის და ცუდიც.

კარგი იმდენად, რამდენადაც:

მოწმობს, რომ ადამიანი არ ეგუება, არ ითვისებს ავს, უკეთურს, ბოროტს. შეუძლებლად მიიჩნევს შეუსაბამოსა და კურიოზულს. არ უნდა დაუშვას, რომ ხშირად საქმე იმას აბარია, ვისაც მისი კეთება არ ხელეწიფების.

ცუდი კი იმდენად, რამდენადაც:

ადუნებს ადამიანის სიფხიზლეს, ამკვიდრებს მიამიტობას და ხელს უწყობს ახალ შეცდომას. უფლებას აძლევს ბევრ ავკაცს იმას წაეპოტინოს, რისი ღირსიც არ არის.

და დაასკვნის, რომ:

ერთი შეხედვით უბრალო, სასაცილო შემთხვევა, კურიოზი ღრმა შინაარსს შეიცავს. გვეხმარება სხვადასხვა მოვლენის ახსნა-გაგებაში.

თვალსაჩინოებისათვის მოხმობილ ერთიერთმანეთზე კომიკურ მაგალითთაგან ამჯერად ორი გავიხსენოთ.

როდესაც გადაწყდებოდა ოპერის „აბესალომ და ეთერი“ კინოვარიანტის შექმნა და სარეჟისორო სცენარიც დაიწერებოდა, კინოსტუდიის დირექტორი გამოიძახებდა აკაკი ბაქრაძეს და აჩვენებდა წითელი ხაზით გამოყოფილ პასაჟს, აბესალომი სამეფო კარს რომ მიმართავს: ვის გინდათ ქალი ეთერიო?.. — და განუცხადებდა:

— კაცს რომ ცოლი ავად გაუხდება, ეს უნდა თქვას? თუ ექიმს დაუძახოს, საავადმყოფოში დააწვინოს, უმკურნალოს, მოუაროს, უპატრონოს? რა ჰქვია იმ ქმარს, რომელიც სნეულ ცოლს სხვას აძლევს?.. ამის მერე თქვენ გინდათ დამიმტკიცოთ, რომ აბესალომი დადებითი პერსონაჟია?..

ეს შეეცდებოდა აეხსნა, რომ ლეგენდას თავისი ლოგიკა აქვს, მაგრამ ის არ დაიცლიდა და გაგულისებული დაუბეჯითებდა:

— ლეგენდა არ ვიცი მე. ჩვენ საზოგადოებას მაღალზნეობრივი ფილმები უნდა მივაწოდოთ. რა ზნეობაა ავადმყოფი ცოლის გატანება სხვისთვის. ეს ყველა საზოგადოებაში უზნეობაა და მითუმეტეს — ჩვენში. ეს ადგილი უნდა შეიცვალოს.

ეს დაუწყებდა მტკიცებას:

— თუ ამას შევცვლით, მაშინ ლეგენდის ინტრიგა დაირღვევა, ამბის სიუჟეტური განვითარება დაიშლება. თუ ეთერი არ დაავადდება ან აბესალომი მას მკურნალს დაუქირავებს, მაშინ მურმანს ფუნქცია ეკარგება. თუ მურმანი ეთერს არ წაიყვანს, მაშინ აბესალომიც აღარ დასნეულდება, აღარ მოკვდება, ეთერიც აღარ მოიკლავს თავს... ასე რომ, აღარც ლეგენდა გვექნება და აღარც ოპერა. იქნებ ჯობს, ასეთ შემთხვევაში ფილმი საერთოდ აღარ გადავიღოთ?

თავისთავად კრიტიკოსის მტკიცება დირექტორზე ვერავითარ ზეგავლენას ვერ მოახდენდა, რომ არა საფრთხე... საწარმოო გეგმის ჩავარდნისა. მერე კიდევ, უკვე დიდძალი ფული იყო დახარჯული და ფილმის გადაღებას ვეღარ გააუქმებდი, თორემ ვინ გაპატიებდა!.. ძალიან შეწუხდებოდა კია, მაგრამ იძულებული შეიქნებოდა დათანხმებოდა გადაღებას. ეგაა თავისი მხრივ მაინც შესთავაზებდა:

— ჩემს შეხედულებას აბესალომის „პადლეცობაზე“ დავწერ და რეჟისორს გადაეცით, რათა, რამდენადაც შესაძლებლობა ექნება, ამ შენიშვნებს ყურადღება მიაქციოს.

და მეორე დღეს მთელს რვეულს გადასცემდა — არგუმენტირებულ მტკიცებას აბესალომის „პადლეცობისა“.

მეორე შემთხვევა 60-იან წლებში გადაღებულ მულტიპლიკაციურ ფილმს ეხება, ტყის მშვიდობიანი ბინადარნი მხეცებს რომ აუჯანყებოდნენ და დაამარცხებდნენ. ფილმში იყო მგლების „განიარაღების“ ერთი ასეთი ეპიზოდიც: ორ წყებად გამწკრივებულ კურდღლებს გადაჯვარედინებული კომბლები ეჭირათ, რომელთა ქვეშაც მიძვრებოდნენ დამარცხებული მგლები. მწკრივის ბოლოს კურდღელი იდგა და „ალაიაში“ გატარებულ მგლებს კომბლით კბილებს უმტვრევდა. ასე „განიარაღებულ“ მგლებს ათავისუფლებდნენ და ტყეში უშვებდნენ.

აკაკი ბაქრაძის თვალში ეს გახლდათ იუმორით სავსე, მოხდენილი სცენა, პაწიები კი არა, ხანდაზმულნიც გულიანად რომ იცინებდნენ.

მაგრამ... ნახავდა ამ მულტფილმს კინოსტუდიის დირექტორი და... მკაცრად იტყოდა:

— ამ ფილმის ჩვენების უფლებას არ მოგცემთ. თქვენ ბავშვებს ატყუებთ.

ფილმის ავტორები თვალებს დააჭყეტდნენ და გაკვირვებულნი იკითხავდნენ:

— როგორ თუ ბავშვებს ვატყუებთ?

და დირექტორი განუმარტავდა:

— სად გინახავთ კურდღლებს მგლები „ალაიაში“ გაეტარებინოთ? მგელი თუ ახლოს მივიდა კურდღელთან, ხომ მაშინვე შეჭამდა? მე, როგორც დაწესებულების ხელმძღვანელი, ნებას ვერ მოგცემთ, რომ ჩვენი ნაწარმოები ბავშვებს ცრუ ინფორმაციას აწვდიდეს და ყალბ წარმოდგენას უქმნიდეს, თითქოს კურდღლებს მგლების დამარცხება შეუძლიათ.

ამის გამგონენი მუხლებზე დაეცემოდნენ და დირექტორს შეღაღადებდნენ:

— ეს ხომ ზღაპარია, ეს ხომ იგავია, ეს ხომ არაკია, ეს ხომ ზოოლოგიის სახელმძღვანელო არ არის, ერთი პაწია მულტფილმია, რომელშიც ალეგორიული ხერხით ნაჩვენებია კეთილის გამარჯვება და ბოროტის დამარცხება.

დირექტორი გაჯიუტდებოდა, მტკიცედ და შეუპოვრად დაიწყებდა თავისი აზრის დაცვას. მაშინ განხილვის ყველა მონაწილე გაიხსენებდა ზღაპარს, იგავ-არაკს, სადაც ცხოველები იყვნენ გამოყვანილი და ბევრჯერ ხერხით, გონებამახვილობით, ჭკუით სუსტი სჯობნიდა ძლიერს.

მაინც არ გატყდებოდა დირექტორი, არაფრად ჩააგდებდა მათ არგუმენტებს:

— ეს ზღაპრები თუ იგავ-არაკები ძველ დროშია შექმნილი. ხალხი მაშინ ბნელი, გაუნათლებელი იყო. მიამიტად ოცნებობდა კეთილის გამარჯვებაზე. ახლა ჩვენ მეცნიერული ცოდნით ვართ შეიარაღებული და ვიცით — როგორ უნდა დამარცხდეს ბოროტი, როგორ უნდა გაიმარჯვოს კეთილმა. არ არის საჭირო გულუბრყვილო ალეგორიებით გამოვუტენოთ ბავშვებს თავი.

არც ფილმის დამცველები დაიხევდნენ უკან და, როგორც იქნებოდა, დიდი დავიდარაბის შემდეგ დაარწმუნებდნენ დირექტორს, რომ მულტფილმის საჯარო ჩვენება შეიძლებოდა.

ძნელად ან სულაც არ უჯერებდნენ აკაკი ბაქრაძეს ამ და ამგვარი კურიოზების არსებობას და... სახალისო, მხიარულ გამონაგონად უთვლიდნენ.

ის კი არა, ხანდახან თვითონაც ეპარებოდა ეჭვი — მართლა შეესწარი ამ ამბებს თუ არაო.

მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ეს სასაცილო შემთხვევები ღრმა შინაარსს შეიცავდა და გვეხმარებოდა ამა თუ იმ მოვლენის ახსნა-გაგებაში.

გავა ხანი და... რა გგონიათ, ნაკლებ ან საერთოდაც არ დაგვიჯერებენ, თუ გვყავდა განათლებისა და მეცნიერების ასეთი მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა და ასეთ კრიტიკულ ქარცეცხლში ატარებდა ზღაპრებსა თუ არაკებს, რაკიღა მტკიცედ სწამდა, რომ ეს ყველაფერი მაშინ შეიქმნა, ხალხი ბნელი და გაუნათლებელი რომ იყო, მეცნიერული ცოდნით შეიარაღებულებს კი ბავშვები არაფრისდიდებით აღარ უნდა მოგვეტყუებინა.

„ნაცარქექიაა“ და:

— მინდა ახალი ნაცარქექია, რომელიც დევს კი არ წაართმევს სახლს, აიშენებს.

„კომბლეა“ და:

— კომბლე მოძალადეა და ცუდი მეცხვარეა. ორი ცხვარი ჰყავს და მეცხვარეს რატომ უნდა ჰყავდეს ორი ცხვარი, თუ დაფიქრდებით, მიხვდებით. იმიტომ არის ცუდი მეცხვარე, რომ ცხვრის მოვლით არ არის დაკავებული, კომბლის მთლელია. მე ვოცნებობ ახალ კომბლეზე, რომელსაც ზღაპრის დასაწყისში 200 ცხვარი ჰყავს, დასასრულს კი — 220. მთელი დღე კომბლებს კი არ თლის, რამდენიმე კომბალი აქვს, შრომობს და ცხვარს უვლის. თუ მისი ცხვარი დაიკარგა, კომბლით კი არ მოაგვარებს საკითხს, მგელი იქნება თუ ცხვარი, დაელაპარაკება — დაანებე ამ ჩემს ცხვარს თავი, და თუ გშია, მოდი და გაჭმევო. ეს არის XXI საუკუნის მიდგომა.

„რწყილი და ჭიანჭველაა“ და:

— მეგობრობა კარგია, მაგრამ თვითონ რატომ არაფერს აკეთებს ჭიანჭველა? ან სად მიხტოდა?..

პრინცესები არიან და:

— პრინცესებიან ზღაპრებში ერთი რამე შევამჩნიე საერთო — ყველა პრინცესა ელოდება კაცს, რომ რამე უშველოს. და თავისთავს რატომ არ უნდათ უშველონ?! ეს ამბები შეიძლება გოგონებს არწმუნებდეს, რომ შენ ამბავი აუცილებლად კაცმა უნდა მოგიგვაროსო, და გენდერის რაღაც სირთულეები შეიძლება იყოს ამასთან კავშირში.

მთავარი არგუმენტი ისეთი მტკიცე აქვს და შეუვალი, წყალს გადაგიწურავს:

— ზღაპრები, ისევე როგორც ნებისმიერი ლიტერატურა და ახალგაზრდული კულტურა, უნდა აჰყვეს დროის მოთხოვნებს. მე-15 საუკუნის ზღაპარი და 21-ე საუკუნის ზღაპარი, ისევე როგორც თეატრალური წარმოდგენა, ერთმანეთისგან უნდა განსხვავდებოდეს.

და შენ რამდენიც გინდოდეს უხსენი და უმტკიცე, რომ ზღაპარსა თუ არაკს თავისი მხატვრული სამყარო აქვს, თავისი სტილისტიკა, თავისი ალეგორიული პლანი, თავისი ლოგიკა, და რომ ზღაპრების გარეშე ვერ ჩამოყალიბდება ყმაწვილის წარმოსახვის უნარი, ცნობიერება, თვალსაწიერი, თვით ზნეობაც.

არამცთუ ვეღარ დაგვიჯერებენ, ჩვენც ეჭვი შეგვეპარება, მართლა შევესწარით თუ არა კურიოზთა ამ ახალ წყებას: სახალისო, მხიარული გამონაგონი ხომ არ არისო?!.

ესეც ის უცნაური კანონზომიერება!..

და მერე ყველა აღმოვაჩენთ, რომ ეს კურიოზები თურმე საკმაოდ ღრმა შინაარსს შეიცავს, და ძალიანაც წაგვადგება ჩვენი დროის ცალკეულ მოვლენათა ახსნა-გაგებაში, როგორც თვალსაჩინო ნიმუშები, აბსურდის სტილისტიკის დასავლელი მწერლები დანანებით რომ გადახედავდნენ ამ მინისტრული აზროვნების მარგალიტებს: ჩვენი ფანტაზია აქამდე ვერ აღწევდა კურიოზთა გამოგონებაშიო.

ეს ერთი მხრივ კი ცუდია, მაგრამ აკაკი ბაქრაძე გვამშვიდებს, რომ: რაღაცით კარგიც არის — ადამიანი ვერ ეგუება და შეუძლებლად მიიჩნევს, რომ ხშირად აბარია საქმე ისეთ კაცს, ვისაც მისი კეთება არ ხელეწიფება.

აბარია რა — ადვილი მოსალოდნელია, კიდეც დააწინაურონ, როგორც სხვებზე კიდევ უფრო გონიერი და ენერგიული მუშაკი, რისი მომსწრენიც შევიქენით, ალექსანდრე ჯეჯელავა მესამე ვიცე-პრემიერად რომ დაგვისახელეს და ასპარეზიც ძალიან გაუფართოვეს...

მერე აღარც ამას დაგვიჯერებენ.

ჩვენც ეჭვი შეგვეპარება — რაღაცას ვიგონებთ, თორემ ბოლოს და ბოლოს კურიოზულ-აბსურდულ ვითარებასაც ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარიო!..

* * *

ისევ რა საოცრად ემთხვევა ერთმანეთს სოციალისტური გლობალიზმისა და ლიბერალური გლობალიზმის აზრობრივი თავისებურებანიც და მეთოდებიც, მიზნებიც და ამოცანებიც...

როსტომ ჩხეიძე

ედუარდ შევარდნაძის სახლ-მუზეუმი მამათში

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სახლ-მუზეუმის გახსნას ითხოვენ. უკვე შეიქმნა დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამ საკითხზე დაიწყებს მუშაობას. სოფელ მამათის დეპუტატი კახა ურუშაძე ამბობს, რომ სახლ-მუზეუმის გახსნაზე საქმის კურსში არიან ედუარდ შევარდნაძის ახლობლები.

„ჯერჯერობით მოსამზადებული სამუშაოები მიმდინარეობს. ვიცი, რომ ნათესავებმა იციან ამ წამოწყების შესახებ და, სავარაუდოდ, ედუარდ შევარდნაძის ოჯახის წევრებმაც იციან. ასევე დაგეგმილია სახლ-მუზეუმის ტურისტულ მარშრუტში ჩასმა და ამ ამბავს სოფელში დადებითად აფასებენ“, — განაცხადა კახა ურუშაძემ.

სხვა გზა არა გვაქვს, უნდა მოვითმინოთ!

„კონფლიქტის მართვის ეტაპიდან მის უშუალო მოგვარებაზე გადასვლას დრო და მოთმინება დასჭირდება. ამასობაში ადმინისტრაციულ საზღვართან მცხოვრები მოსახლეობისთვის უარყოფითი გამოწვევები, სავარაუდოდ, გაგრძელდება“.

გვესაუბრება საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი, ელჩი კიასტუტის იანკაუსკასი.

— როგორც ცნობილია, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება, თუმცა სეპარატისტული რეგიონების — აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებები დღემდე არ აძლევენ მისიას მათ კონტროლქვეშ არსებულ ტერიტორიებზე შესვლის უფლებას. რამდენად ეფექტურია, თქვენი შეფასებით, ამ პირობებში მისიის საქმიანობა, რა კეთდება ამ მდგომარეობის შესაცვლელად და ხედავთ თუ არა ამის რეალურ პერსპექტივას?

— დიახ, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატი თავიდანვე საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავდა მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ისიც მართალია, რომ მისია არასდროს იყო დაშვებული აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში. ჩვენ ეს, სამწუხაროდ, მიგვაჩნია, რადგან მისია არის საერთაშორისო დაკვირვების ერთადერთი არსებული მექანიზმი. ჩვენი მიზანია, დაკვირვებისას ‹ოპერაციული მიუკერძოებლობის› პრინციპი მკაცრად დავიცვათ.

მიუხედავად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შესვლის ხელმისაწვდომობის არარსებობისა, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია თავის მოვალეობებს 8 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში წარმატებით ახორციელებს. ჩვენ ინტენსიურად ვაწარმოებთ პატრულირებას ორივე ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ და ვაკვირდებით, რასაც შეგვიძლია, ორივე მხარეს. ცოტა ხნის წინათ ჩვენ განვაახლეთ დაკვირვების ტექნიკური საშუალებები, რაც მონაცემების შეგროვების გაუმჯობესებას ნიშნავს.

ჩვენ განვაგრძობთ საუბრებს მიმომსვლელებთან — იმ ადამიანებთან, რომელთაც შეუძლიათ ადმინისტრაციული საზღვრის მეორე მხარეს გადასვლა და რომლებიც დაინტერესებული არიან, გვითხრან, თუ რა ხდება იქ. ჩვენ ასევე ვიყენებთ დაკვირვების ყველა სხვა ხელმისაწვდომ საშუალებას, როგორიცაა ინფორმაცია ღია წყაროებიდან და ანალიზი, რათა მოვახდინოთ ადმინისტრაციული საზღვრის მეორე მხარეს შესვლის შეუძლებლობის კომპენსირება.

ჩვენ ვმონაწილეობთ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში ერგნეთისა და გალის შეხვედრებში და ვამუშავებთ სატელეფონო ცხელ ხაზს, რომლის მეშვეობითაც უსაფრთხოების სფეროში მოქმედ სტრუქტურებს შეუძლიათ ინფორმაციის გაცვლა ადგილზე არსებული სიტუაციისა და ღონისძიებების შესახებ.

მე ვიტყოდი, რომ ჩვენ ძალიან ყურადღებიანად ვაკვირდებით მოვლენებს ყველგან და ბევრი რამ ვიცით. ეს ყველაფერი ინტეგრირებულია და ანგარიშის სახით ბრიუსელს და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, ასევე უფრო ფართო საერთაშორისო თანამეგობრობას მიეწოდება.

ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებთან, რომლებსაც აქვთ ადმინისტრაციული საზღვრების მეორე მხარეს შესვლის შესაძლებლობა და ვეხმარებით მათ ადგილზე არსებული ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდებით.

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში და ევროკავშირის სხვა წარმომადგენლები მუდმივად აყენებენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მისიის შესვლის შესაძლებლობის საკითხს. იმედი მაქვს, ერთ მშვენიერ დღეს მისია ამ შესაძლებლობას მოიპოვებს და ეს სასარგებლო იქნება ყველასთვის, რადგანაც მისია შეძლებს ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს ადგილზე არსებული ვითარების შესახებ უფრო დეტალური ანგარიშების წარდგენას და უკეთესად გაიგებს ყველა გამოწვევასა და პერსპექტივას.

— ცხინვალის რეგიონის მიმართულებით, ე.წ. გამყოფი ხაზის სიახლოვეს თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში გრძელდება ადგილობრივი ქართველების დაკავება „საზღვრის უკანონო კვეთის“ მოტივით. მისიის შუამავლობით სეპარატისტებისა და ოკუპანტების ტყვეობიდან არაერთი ქართველი გათავისუფლებულა. თუმცა, თუ კეთდება რაიმე დაკავებების პრევენციისთვის?

— დიახ, სამწუხაროდ, ყოველთვიურად ორივე ადმინისტრაციულ საზღვარზე დაკავებები ხდება. ბოლო წლების განმავლობაში რიცხვები თითქმის უცვლელია: სამხრეთ ოსეთში თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ დაახლოებით 10 ადამიანს ყოველთვიურად აკავებენ. სამხრეთ ოსეთის იმ მცხოვრებთა რაოდენობა, ვინც ადმინისტრაციულ საზღვართან მიახლოებისას გააჩერეს, აშკარად უფრო დიდია, მაგრამ ჩვენ ზუსტი მონაცემები არ გვაქვს. ხალხი ადმინისტრაციულ საზღვარს სხვადასხვა მიზეზების გამო კვეთს — მათი ნათესავების, მეგობრების, საცხოვრებელი სახლების სანახავად, გაქცეული პირუტყვის მოსაბრუნებლად, მაისში — ჯონჯოლის შესაგროვებლად, ხოლო ზამთარში — შეშის მოსაჭრელად, ეკლესიების ან სასაფლაოების მოსანახულებლად, ან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ჩასატარებლად.

როდესაც ხდება დაკავებები, ცხელი ხაზი ამოქმედდება და ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება. მისიის ფუნქციაში ცხელი ხაზის 24/7 რეჟიმში მუშაობა შედის და ეს ხელს უწყობს დაკავებული ადამიანების საკითხთან მიდგომას: პირველ რიგში, იმის თქმას, თუ რა დაემართა იმ პირს, რომელიც დააკავეს, მისი ვინაობის დადგენას, ნათესავებთან და უსაფრთხოების სამსახურებთან დაკავშირებას. ამის შემდეგ პირის გადაცემაზე შეთანხმება მიმდინარეობს.

დაკავებების საკითხი თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში შეხვედრების დღის წესრიგში და ამ შეხვედრებზე განიხილება. მისია ყოველთვის ამტკიცებს, რომ გადაადგილების თავისუფლება და ადგილობრივი მოსახლეობისთვის იმის საშუალების მიცემა, რომ იცხოვროს, როგორც ცხოვრობდა ადრე, საფრთხეს არავის უქმნის.

— გასული წლის 19 მაისს ხურჩაში განვითარებულმა ცნობილმა მოვლენებმა წარმოშვა მოსაზრება, რომ მონიტორინგის მეთოდები უნდა შეიცვალოს, მაგალითად, მისიის წარმომადგენლები მუდმივ საფუძველზე უნდა ჩადგნენ ე.წ. საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით და თუ განიხილება ამის შესაძლებლობა?

— 2016 წლის მაისში ხურჩაში მომხდარი ფატალური შემთხვევა ტრაგიკული და შემაშფოთებელია. შეიძლება, ვინმემ თქვას, რომ ეს იყო „ერთჯერადი“ მოვლენა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, მაგრამ ეს მხოლოდ აჩვენებს, თუ რამდენად მყიფეა ეს შედარებითი სტაბილურობა.

როდესაც ეს მოხდა, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები მაშინვე მივიდნენ ადგილზე და იქ დარჩნენ. ჩვენ შესაბამისად დავგეგმეთ ჩვენი პატრულირება და ვიყავით ხურჩაში და სხვა გადაკვეთის პუნქტებზე მათი მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში. ჩვენ გავაძლიერეთ ზუგდიდის რეგიონული ოფისი დამკვირვებლებით ორი სხვა რეგიონული ოფისიდან და ინციდენტის შემდეგ 3 კვირის განმავლობაში ვიყავით გადაკვეთის პუნქტებზე, რათა დავრწმუნებულიყავით, რომ სიტუაციის ესკალაცია არ მოხდებოდა.

ჩვენ შევიმუშავეთ ფართო გეგმები, რათა დავრწმუნებულიყავით, რომ მისიას, სიტუაციიდან გამომდინარე, შეუძლია, წარიგზავნოს, სადაც საჭიროა და რამდენი ხნითაც საჭიროა. საჭიროების შემთხვევაში ჩვენ გაზრდა შეგვიძლია. გასული წლის დეკემბერში ევროკავშირმა მისიას მანდატი კიდევ ორი წლით — 2018 წლის დეკემბრამდე გაუგრძელა. ჩვენს ვალდებულებას — სტაბილიზაციისა და ნორმალიზაციის უზრუნველყოფას — ძალიან სერიოზულად ვეკიდებით.

— 19 მაისის ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ გაიჟღერა ასევე მოსაზრებამ ქართული საგუშაგოების ძველი დისლოკაციის ადგილზე, ანუ გამყოფ ხაზთან დაბრუნების, ან იქ დამატებითი საგუშაგოების გახსნის აუცილებლობის თაობაზე. თქვენ რა პოზიცია გაქვთ ამ საკითხზე და თუ იყო განხილული ეს ინიციატივა ქართულ მხარესთან?

— დიახ, ეს უკვე განხილული იყო საქართველოს ხელისუფლებასთან. ჩვენ ვიზიარებთ საქართველოს ხელისუფლების შეშფოთებას ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ მცხოვრები ადამიანების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. თუმცა ამ კონკრეტულ სიტუაციაში ჩვენი შეთავაზება იყო, რომ მისიას ადგილზე დაკვირვება და ყოფნა გაეძლიერებინა და ჩვენ ეს გავაკეთეთ. მე მჯერა, რომ ეს იყო სწორი ნაბიჯი და მან ხელი შეუწყო ემოციების დაძლევას, სტაბილურობის შენარჩუნებას და პრევენციული გზით მოქმედებას.

დამატებითი გადაკვეთის პუნქტების გახსნა ძალიან კარგი იქნება ხალხისთვის, თუმცა ამჟამად ჩვენ საპირისპირო პროცესების მოწმენი ვართ. გამოცხადდა, რომ უახლოეს დღეებში კონტროლირებადი გადაკვეთის დარჩენილი ოთხი პუნქტიდან ორი დაიხურება. ევროკავშირი ამას გამუდმებით ეწინააღმდეგება. რამდენიმე დღის წინათ გაკეთებულ განცხადებაში ევროკავშირი გადაკვეთის პუნქტების ღიად დატოვებისკენ მოუწოდებს, რათა ადმინისტრაციული საზღვრით გაყოფილი ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლება იყოს უზრუნველყოფილი.

იხ. 10 გვ.

რაც ჩვენია, არავის დავუთმოთ!

— უზეირ ჯაფაროვი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსზე

საქართველო და აზერბაიჯანი შეძლებენ კომპრომისის მიღწევას დავით გარეჯის კომპლექსთან დაკავშირებით და 2017 წელს დაგეგმილი მოლაპარაკებები დადებით შედეგებს მოიტანს. ამის შესახებ Echo.AZ-თან ინტერვიუში აზერბაიჯანელმა სამხედრო ექსპერტმა უზეირ ჯაფაროვმა განაცხადა.

„საქართველოს ესმის, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ეს ზონა სტრატეგიული მნიშვნელობისაა. ამის გარდა, იურიდიულად აზერბაიჯანს მასზე უფრო მეტი უფლება აქვს, ვიდრე საქართველოს“, — აღნიშნა მან.

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ფართობი 480 კმ-ს შეადგენს. გასულ წელს აზერბაიჯანისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა განაცხადეს ორ სახელმწიფოს შორის საზღვრის დელიმიტაციის დასრულების მზაობის შესახებ.

„აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის არასდროს დამდგარა მწვავე საკითხები, მათ შორის, ტერიტიორიული, გარდა ქეშიშ-დაღასი, ანუ, როგორც მას საქართველოში უწოდებენ, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის. ორივე ქვეყნისთვის ეს საკითხი დიდ პრობლემას აღარ წარმოადგენს. 25 წლის განმავლობაში აზერბაიჯანსა და საქართველოს თბილი, კეთილმეზობლური დამოკიდებულება აქვთ“, — აღნიშნავს ჯაფაროვი.

ჯაფაროვი დარწმუნებულია, რომ დავით გარეჯი ორ ქვეყანას შორის დაბრკოლებად არ იქცევა.

„საქართველო დათანხმდება, რომ აზერბაიჯანს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსზე უფრო მეტი მორალური და იურიდიული უფლება აქვს. ამის გარდა, ეს ზონა სტრატეგიულ სიმაღლეს წარმოადგენს და მასზე უარს ვერ ვიტყვით. ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია საქართველოს, სომხეთის ან სხვა მეზობელი ქვეყნის მიწებზე, მაგრამ რაც ჩვენია, არავის დავუთმობთ“, — აღნიშნავს ჯაფაროვი.

პოლიტიკური ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრის ხელმძღვანელის მუბარიზ აჰმედოღლუს თქმით, აზერბაიჯანი საქართველოს შეთავაზებას ვერ მიიღებს.

„ქართული მხარე ბაქოს სთავაზობს საქართველოს ტერიტორიის ნაწილს დავით გარეჯის არქიტექტურული კომპლექსის სანაცვლოდ. აზერბაიჯანის მთავრობა ამ პირობას არ დათანხმდება, რადგან საუბარია სტრატეგიული მნიშვნელობის ზონაზე და ისტორიულ მემკვიდრეობაზე“, — განუცხადა აჰმედოღლუმ გამოცემას.

„ჩვენი ქვეყნის ისტორიაში იყო პერიოდი, როდესაც მოსახლეობის ნაწილი ზოროასტრიზმის აღმსარებელი იყო, ნაწილი კი — ქრისტიანობის. ჩვენ ვერ შევძლებთ, უარი ვთქვათ ისტორიულ ობიექტზე, რომელიც ადასტურებს, რომ ქრისტიანობის ისტორია აზერბაიჯანსაც შეეხო“, — განაცხადა აჰმედოღლუმ.

„სწორი იქნება, რომ საქართველომ უარი თქვას თავის პრეტენზიებზე და ამით აჩვენოს, თუ როგორ სცემს პატივს აზერბაიჯანში ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას. ნებისმიერ შემთხვევაში მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს. აუცილებელია, რომ ამ მოლაპარაკებებს პოლიტიკური ელფერი არ მიეცეს და კონფლიქტურ მდგომარეობამდე არ მივიდეს“, — განაცხადა აჰმედოღლუმ.

„ოცნებამ „მოსიყვარულე მკვლელს“ სძლია!

C ჰეპატიტი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სამედიცინო-სოციალური პრობლემაა. ინფიცირებულთა რიცხვი დედამიწაზე 150-200 მილიონს აღწევს. მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით ერთიდან სამ მილიონ ადამიანამდე ინფიცირდება. ქრონიკული C ჰეპატიტი ინფიცირებულთა 75-85 პროცენტს უნვითარდება.

ექსპერტთა გათვლებით, საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებამდე, დაახლოებით 200.000 ადამიანი C ჰეპატიტის ვირუსით იყო ინფიცირებული, რაც ქვეყნის მოზრდილი მოსახლეობის 6,7 პროცენტს შეადგენს. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში. რაც შეეხება დაავადებულთა ჯგუფებს, საქართველოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 68% ინექციურ ნარკომანებზე მოდის, 23% – სხვადასხვა ავადმყოფებზე, მათ შორის, სქესობრივი გზით დაავადებულებზე, 7,6% – სისხლის დონორებზე.

ამ გლობალურ სოციალურ პრობლემასთან დაკავშირებით ვესაუბრებით ინფექციონისტს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ირაკლი ხმალაძეს.

– ბატონო ირაკლი, რა არის C ჰეპატიტი და როგორია მისი გადადების გზები?

– C ჰეპატიტი ვირუსული ინფექციაა, რომელიც უპირატესად ღვიძლს, კერძოდ კი მის შემადგენელ უჯრედებს ჰეპატოციტებს აზიანებს. პაციენტის არასწორი ან მკურნალობის გარეშე დატოვების შემთხვევაში, დაავადება შესაძლოა, ავადმყოფის გარდაცვალებითაც კი დასრულდეს. C ჰეპატიტით დაავადებულთა საშუალოდ 30% პროცენტი ვირუსით ინფიცირებიდან 20-30 წლის შემდეგ, შესაძლოა, განუვითარდეს ღვიძლის ციროზი, რომელიც ისეთ გართულებებს იწვევს, როგორიცაა ჰეპატოცელულარული კარცინომა (ღვიძლის კიბო) ან ღვიძლის უკმარისობა. ქრონიკული ფორმა, თავისთავად, არ იკურნება. C ჰეპატიტის 6 გენოტიპი არსებობს. საქართველოში პირველი სამია გავრცელებული. უახლესი პრეპარატებით მკურნალობის შემთხვევაში, მეორე და მესამე გენოტიპის დროს, მკურნალობის შემდეგ, განკურნების ალბათობა 90 პროცენტზე მეტია, პირველი გენოტიპის მკურნალობის ალბათობა კი შედარებით ნაკლებია. ინფიცირების წყაროს დაავადებული ან ვირუსმატარებელი ადამიანი წარმოადგენს. C ჰეპატიტი გადაეცემა ძირითადად სისხლით, ასევე სქესობრივი გზით. სისხლის საშუალებით დაავადება ვრცელდება დაინფიცირებული სისხლისა და სისხლის პროდუქტების გადასხმისას, ასევე სხვადასხვა სამედიცინო და კოსმეტიკური მანიპულაციებისას, არასათანადოდ გასტერილებული, არაერთჯერადი სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებისას, ნარკომანების მიერ საზიარო ნემსის გამოყენებისას, ტატუირების და პირსინგის დროს, აკუპუნქტურისას, მანიკიურისა და კოსმეტიკური მანიპულაციებისას, სტომატოლოგიური მანიპულაციებისას, დაბინძურებული ნემსის შემთხვევითი ჩხვლეტისას, საერთო სამართებლის, კბილის ჯაგრისის, სისხლით დაბინძურებული ბამბის გამოყენებისას, დაავადებულის პირის ღრუსთან შეხებისას (კოცნისას), ადამიანის მიერ ადამიანის კბენისას. სისხლმდენი ღრძილების მქონე ადამიანის კბილის ჯაგრისის გამოყენებისას. დაბინძურებული სააბაზანო აქსესუარების გამოყენებისას, და ა. შ.

C ჰეპატიტის ვირუსი შეიძლება გავრცელდეს ასევე სქესობრივი გზით, მაგრამ რეალურად ასეთი რამ გაცილებით იშვიათად ხდება. სქესობრივი გზით C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირების რისკი მაღალი აქვთ მათ, ვინც ხშირად იცვლის სქესობრივ პარტნიორს. სხვადასხვა სამედიცინო წყაროს მიხედვით, ამგვარი ინფიცირების შანსი 2-6 პროცენტს უტოლდება. C ჰეპატიტის სიხშირე განსაკუთრებით მაღალია ნარკოტიკების ინტრავენურ მომხმარებელთა შორის, რაც დაკავშირებულია საერთო შპრიცთან. ოფიციალური მონაცემებით, ინტრავენური ნარკომანების დაახლოებით 68 პროცენტს C ჰეპატიტი აქვს. C ჰეპატიტის ვირუსი შეიძლება გადაეცეს დედიდან შვილს. დედიდან ნაყოფზე ინფექციის გადაცემის შემთხვევები იშვიათია. დაინფიცირება ძირითადად ნაყოფის სამშობიარო გზებში გავლისას ხდება. ინფიცირება შეიძლება მოხდეს როგორც ბუნებრივი მშობიარობის, ასევე საკეისრო კვეთის დროსას. ინფიცირებული ახალშობილი უმეტესად ვირუსის ქრონიკული მატარებელი ხდება, რასაც ასაკთან ერთად ჯანმრთელობის პრობლემების მთელი წყება მოჰყვება.

უნდა გვახსოვდეს, რომ C ჰეპატიტი არ გადადის ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო კონტაქტების გზით – ლაპარაკისას, ცემინებისას, ასევე საკვები პროდუქტებით ან წყლით. არცთუ იშვიათად C ჰეპატიტის წყარო საერთოდ უცნობია.

– როგორია C ჰეპატიტის კლინიკური მიმდინარეობა და სიმპტომები?

– C ჰეპატიტის საინკუბაციო პერიოდი (ინფიცირებიდან დაავადების პირველი ნიშნების გამოვლენამდე) უხშირესად 20-80 დღეა. C ჰეპატიტი შეიძლება მიმდინარეობდეს როგორც მწვავე, ასევე ქრონიკული ფორმით. პირველადი ინფიცირების შემდეგ, ადამიანების დაახლოებით 80 პროცენტს არ აქვს რაიმე სახის სიმპტომები, სწორედ ამის გამო მას „მოსიყვარულე მკვლელს“ უწოდებენ, თუმცა, C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირება ზოგჯერ დაავადების მწვავე ფორმით განვითარების მიზეზი ხდება.

დაავადების მიმდინარეობის სიმძიმის მიხედვით არჩევენ – დაავადების მსუბუქ ფორმიდან მძიმე, ქრონიკულად მიმდინარე მდგომარეობამდე, რომელიც გრძელდება სიცოცხლის ბოლომდე და შეიძლება გამოიწვიოს ღვიძლის ციროზის ან ღვიძლის პირველადი კიბოს განვითარება.

მწვავე ჰეპატიტის სიმპტომების შემთხვევაში ადამიანს შეიძლება აღენიშნებოდეს ცხელება, ადვილად დაღლა, მადის დაქვეითება, პირღებინება, მუცლის ტკივილი, რასაც შემდგომ მუქი ფერის შარდი, ღია-მორუხო ფერის (აქოლიური) განავლით დეფეკაცია, სახსრების ტკივილი და სიყვითლე ერთვის.

ქრონიკული C ჰეპატიტი შეიძლება მიმდინარეობდეს ფარულად, პერიოდული გამწვავებებით, ანდა მუდმივად პროგრესირებდეს. ლატენტური (ფარული) ფაზა შეიძლება 15-20 წელიწადიც კი გრძელდებოდეს. ამ პერიოდში ინფიცირებული პრაქტიკულად ჯანმრთელია, არაფერი არ აწუხებს. კლინიკური მანიფესტაციის შემთხვევაში კი ავადმყოფები უჩივიან ადვილად დაღლას, სისუსტეს, შრომისუნარიანობის დაქვეითებას, წონის კლებას და სხვ. დაავადება ძირითადად სიყვითლის გარეშე მიმდინარეობს. შესაძლოა, თან ახლდეს სუბფებრილიტეტი ანუ სხეულის ტემპერატურის მატება 37-38°-მდე. ღვიძლში ქრონიკულად მიმდინარე ანთებითი პროცესის შედეგად ვითარდება ღვიძლის ფიბროზი, რაც ღვიძლის ქსოვილში დიდი რაოდენობით კოლაგენის ჩალაგებით და მისი ელასტიკურობის დაქვეითებით ვლინდება, თუმცა ღვიძლის სტრუქტურა და ფუნქციები ძირითადად შენარჩუნებულია. პროგრესირებადი ფიბროზის ფონზე ავადმყოფთა 20-40 პროცენტს ინფიცირებიდან დაახლოებით 20-30 წლის შემდეგ შეიძლება განუვითარდეს ღვიძლის ტერმინალური დაავადებები – ღვიძლის ციროზი, ღვიძლუჯრედული კიბო და ღვიძლის უკმარისობა. ამგვარად, ქრონიკულ ჰეპატიტს ახასიათებს მრავალწლიანი, ნელი ინფექციისთვის დამახასიათებელი მიმდინარეობა.

ღვიძლის ციროზი ქრონიკული ჰეპატიტის ერთ-ერთი მძიმე გართულებაა. ამ დროს დარღვეულია ღვიძლის სტრუქტურა და ძირითადი ფუნქციები, რაც ღვიძლის უკმარისობის განვითარების წინაპირობაა.

ჰეპატოცელულარული კარციომა, იგივე ღვიძლუჯრედოვანი კიბო, ღვიძლის უჯრედისგან განვითარებული ავთვისებიანი სიმსივნეა, რომელიც ათიდან რვა შემთხვევაში ღვიძლის ციროზით დაავადებულებს უნვითარდებათ, თუმცა, გამორიცხული არ არის ღვიძლის ქრონიკული ანთების ფონზე, ის ციროზის გარეშეც განვითარდეს. ჰეპატოცელულარული კარცინომა სიხშირით მეხუთე ადგილზეა ავთვისებიან სიმსივნეებს შორის და სწრაფად პროგრესირებს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ C ჰეპატიტი გაცილებით სწრაფად პროგრესირებს იმუნოკომპრომეტირებულ (აივ-ინფექცია – „შიდსის“ მქონე) პირებში. პროგრესირების ტემპი ასევე დამოკიდებულია ინფიცირების გზაზე, მაგალითად, დაავადების სწრაფი პროგრესირება აღინიშნება პოსტტრანფუზიული (დასნებოვნებული სისხლის გადასხმის შედეგად) ინფიცირების შემთხვევაში.

ციროზის ჩამოყალიბებას განსაკუთრებით აჩქარებს ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, ღვიძლის თანმხლები დაავადებები, სიმსუქნე. ცნობილია, რომ მამაკაცებში დაავადება ქალებთან შედარებით სწრაფად პროგრესირებს. მნიშვნელოვანია პაციენტის ასაკიც – რაც უფრო ზრდასრულ ასაკში მოხდება ინფიცირება, მით უფრო სწრაფად პროგრესირებს დაავადება. C ვირუსული ჰეპატიტის ქრონიკული ინფექციის პროგრესირების, ასევე დაავადების სიმძიმის შეფასების მნიშვნელოვან მაჩვენებელს ღვიძლის ფიბროზის ხარისხი წარმოადგენს.

C ჰეპატიტის დიაგნოზის დასმა კლინიკური ნიშნების მიხედვით თითქმის შეუძლებელია, რადგან ამ დაავადებას პათოგენური სიმპტომები არ გააჩნია. ამიტომ აუცილებელია C ჰეპატიტის ვირუსის ლაბორატორიული დიაგნოსტიკა. ამჟამად, C ჰეპატიტის ლაბორატორიული დიაგნოსტიკის ძირითადი მეთოდია სისხლში ვირუსსაწინააღმდეგო ანტისხეულებისა და ვურუსის გენეტიკური მასალის განსაზღვრა. ვირუსის იდენტიფიცირება პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციით ხორციელდება. მხოლოდ ეს გამოკვლევა იძლევა უტყუარ პასუხს იმის თაობაზე, არის თუ არა ვირუსი ორგანიზმში. ვირუსსაწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა მხოლოდ ირიბად მიანიშნებს, რომ პაციენტს C ჰეპატიტის ვირუსთან ჰქონდა კონტაქტი. ინფექციის მწვავე სტადიაში ანტისხეულები შესაძლოა, საერთოდ არ იყოს ან ძალიან მცირე კონცენტრაციით იყოს სისხლში, ამიტომ მწვავე C ჰეპატიტზე ეჭვის დროს ანტისხეულების ერთჯერადი განსაზღვრა საკმარისი არ არის. ვინაიდან ინფექციის მწვავე ფაზა მეტწილად უსიმპტომოდ მიმდინარეობს, მწვავე C ჰეპატიტს ხშირად შემთხვევით, რუტინული გამოკვლევის დროს აღმოაჩენენ. ღვიძლის უჯრედების დაზიანების ხარისხის, ღვიძლის ფუნქციისა და მკურნალობის ეფექტიანობის შესაფასებლად, საბოლოო შედეგის პროგნოზირებისთვის აუცილებელია სისხლში ბიოქიმიური მაჩვენებლის განსაზღვრა. ღვიძლის ფიბროზის ხარისხის, ციროზის, კარცინომის (კიბო) დასადგენად მიმართავენ ღვიძლის ულტრაბგერით გამოკვლევას, კომპიუტერულ ტომოგრაფიას, ღვიძლის ბიოფსიას, ღვიძლის ელასტოგრაფიას და სხვა თანამედროვე მეთოდებს.

– როგორია მკურნალობის მეთოდები?

– რაც შეეხება მკურნალობას, იგი 2 მიმართულებით ტარდება. ეტიოლოგიური მკურნალობა უშუალოდ სპეციფიკური ანტივირუსული პრეპარატებით (პეგილირებული ინტერფერონი, რიბავირინი, სუფოსბევირი, ტელაპრევირი, ჰარვონი და ა.შ.) ტარდება, ხოლო პათოგენეზური მკურნალობა ითვალისწინებს უშუალოდ ღვიძლის დაზიანებული ქსოვილის რეგენერაციულ თერაპიასა და გართულებათა საწინააღმდეგო მკურნალობას. ასევე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი მხოლოდ მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მიერ უნდა ჩატარდეს. პაციენტი განკურნებულად მიიჩნევა, თუ მის ორგანიზმში მკურნალობის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციით ვირუსი არ განისაზღვრება. იდეალური შედეგია სრული განკურნება, მაგრამ თუ ეს ვერ მოხერხდა, მკურნალობას აქვს სხვა მიზნებიც – გართულებათა თავიდან აცილება. ღვიძლგარე გამოვლინებებისა და ვირუსის გავრცელების პრევენცია.

საქართველოში 2015 წლიდან მოქმედებს C ჰეპატიტის ელიმინაციის მეტად ეფექტური სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ამ დაავადების მქონე ყველა მოქალაქის უფასო მკურნალობას ითვალისწინებს. დაავადების პრევენციას ძალზედ ართულებს C ჰეპატიტის პროფილაქტიკური ვაქცინისა და იმუნოგლობულინის არარსებობა. თუმცა, რჩება სხვა გზაც – ყველა იმ ღონისძიების გატარება, რომელიც ვირუსის გადაცემას აგვაცილებს თავიდან, ანუ თავი უნდა შევიკავოთ ისეთი ქმედებებისგან, როგორიცაა უსაფრთხო ინექციების ჩატარება, უსაფრთხო სისხლის პროდუქტების გადასხმა, საინექციო ინსტრუმენტების ერთობლივი გამოყენება, დაუცველი სექსი ინფიცირებულ ადამიანთან, სისხლით დაბინძურებული მჭრელი საგნების ერთობლივი მოხმარება და სხვ. თუკი ადამიანი C ჰეპატიტის ვირუსით არის ინფიცირებული, მან აუცილებლად უნდა მიიღოს დროული და შესაბამისი სამედიცინო დახმარება, ჩაიტაროს რეგულარული კონტროლი ღვიძლის დაავადების ადრეული დიაგნოსტიკის მიზნით.

ესაუბრა
ირინა ტატიშვილი.

საviზო ლიბერალიზაცია ოც დღეში

რა დოკუმენტებს მოგთხოვენ საზღვარზე?

პირველ **მარტს ბრიუსელში ხელი მოეწერა ევროკავშირის სტრუქტურების მიერ დამტკიცებულ ახალ რეგულაციას, რომლის თანახმადაც, საქართველომ უვიზო მიმოსვლის უფლების მქონე ქვეყნების ჩამონათვალში გადაინაცვლა. დარჩენილია მხოლოდ დოკუმენტის გამოქვეყნება ევროკავშირის ოფიციალურ გამოცემაში, რის შემდეგაც ის 21-ე დღეს შევა ძალაში. შესაბამისად, წინასწარი გათვლით, საქართველოს მოქალაქეები უვიზოდ მოგზაურობას ევროკავშირის, შენგენის ზონის ქვეყნებში უკვე 28 მარტიდან შეძლებენ. რა დოკუმენტები იქნება საჭირო საზღვარზე და რა უნდა ვიცოდეთ იმისათვის, რომ პრობლემებს ავარიდოთ თავი?**

როგორც ხელმოწერის ცერემონიის დასრულების შემდეგ განაცხადა პრემიერმა კვირიკაშვილმა, საქართველო გააგრძელებს მიზანმიმართულ სვლას ევროპული ოჯახისკენ: **„მინდა, მივულოცო საქართველოს ყველა მოქალაქეს ეს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომელიც, მართლაც და, პირველ რიგში არის პოლიტიკური მხარდაჭერის გამოხატულება ევროკავშირის მხრიდან საქართველოს მიმართ. დღეს ევროკავშირის კარი გაიღო საქართველოსთვის, საქართველოს მოქალაქეებისთვის და ეს უკვე აღარ არის პირველი ნაბიჯები ევროინტეგრაციის მიმართულებით, ეს უკვე არის მნიშვნელოვანი მიღწევა ევროკავშირთან ინტეგრაციის მიმართულებით. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს ყველა მეგობარს ევროპარლამენტში, ევროკავშირის საბჭოში, ევროკომისიაში, ჩემს კოლეგებს და, პირველ რიგში, მინდა, ჩვენს მოქალაქეებს გადავუხადო უდიდესი მადლობა ამ დიდი მხარდაჭერისთვის რეფორმების განხორციელების პროცესში. დღევანდელი დღე არის ევროკავშირის მხრიდან საქართველოსა და ჩვენი ხელისუფლების მიმართ უდიდესი ნდობის გამოხატულება. ეს არის ძალიან დასაფასებელი. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ უმნიშვნელოვანესი რეფორმები. საქართველო უნდა გახდეს ევროპული ოჯახის ნამდვილი წევრი. საქართველომ უნდა გააგრძელოს თანმიმდევრული სვლა ევროკავშირის მიმართულებით და ჩვენ ამას აუცილებლად განვახორციელებთ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად“.**

როგორც „რადიო თავისუფლების“ ბრიუსელელი კორესპონდენტი რიკარდ იოზვიაკი იტყობინება, უვიზო მიმოსვლის მექანიზმის ამოქმედებამდე სულ რაღაც ოცი დღე რჩება. ასეთი პროგნოზი ეყრდნობა დარჩენილ პროცედურათა ვადების გაანალიზებას: **პირველ მარტს ხელმოწერილი გადაწყვეტილება ერთი კვირის განმავლობაში უნდა გამოქვეყნდეს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში და გამოქვეყნებიდან 21-ე დღეს უნდა ამოქმედდეს. შესაბამისად, ეს თარიღი, ოპტიმალური გათვლით, 28 მარტს უწევს.**

როგორც ცნობილია, **უვიზო მიმოსვლით ისარგებლებს ბიომეტრიული პასპორტის მქონე საქართველოს ყველა მოქალაქე 180 დღის განმავლობაში მაქსიმალური 90 დღის ვადით. საქართველოსთვის უვიზო რეჟიმი გავრცელდება ევროკავშირის 26 წევრ ქვეყანასა და ევროკავშირის არაწევრ 4 ქვეყანაზე.**

ვიზების გაუქმების შემდეგ მნიშვნელოვნად გამარტივდება მიმოსვლის პროცედურები, ამბობს „რადიო თავისუფლებასთან“ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მოწვეული მკვლევარი გოგიტა ღვედაშვილი. მისი აზრით, ძალიან დიდი შეღავათი იქნება, როდესაც მოგზაურობის მსურველს აღარ მოუწევს ვიზის მოსაკრებლის გადახდა და საელჩოებში არსებულ რიგებში დგომა, რაც ხშირად შეუძლებელს ხდიდა სპონტანურად გამოჩენილი შანსის გამოყენებას. ამასთან, იშვიათ შემთხვევაში, მესაზღვრემ მაქსიმუმ, შესაძლებელია, მოგვთხოვოს მხოლოდ ის დოკუმენტები, რომლებიც ისევდაც აუცილებელია მოგზაურობის მსურველისთვის: **„ჩამონათვალი შემცირდა სულ ოთხ ძირითად დოკუმენტამდე და ეს გახლავთ წასვლის და ჩამოსვლის ბილეთი, რომელიც აუცილებლად უნდა გვქონდეს; ეს გახლავთ სამოგზაურო დაზღვევა (რაც დღეში, სადღაც, ერთი ლარი ჯდება); უნდა გვქონდეს ასევე ფინანსური დადასტურება, რაც წარმოადგენს მაქსიმუმ 50 ევროს ერთი დღის განმავლობაში. ეს, შესაძლოა, იყოს ნაღდი ფული ან ბანკიდან ამონაწერი. ეს ფული საჭიროა ელემენტარული პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, როდესაც ჩვენ ვიმყოფებით შენგენის ზონაში. კიდევ ერთი დოკუმენტია საჭირო: უნდა გვქონდეს ელექტრონული ჯავშანი იმ სასტუმროსი, რომელშიც ვაპირებთ დარჩენას. იმ შემთხვევაში, თუკი მეგობართან ან ნათესავთან მივდივართ, უნდა გვქონდეს ამ პირის რაიმე ოფიციალური დოკუმენტი — მაგალითად, პირადობის მოწმობის ასლი და საკონტაქტო ინფორმაცია. თუ ჩვენ გვექნება მასპინძლის მისამართი და ტელეფონის ნომერი, მესაზღვრეს შეეძლება, გადაამოწმოს ნებისმიერი ინფორმაცია დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში“.**

თუ როგორ უნდა ისარგებლონ საქართველოს მოქალაქეებმა უვიზო მიმოსვლის მექანიზმით და რა უნდა გაითვალისწინონ ამ პროცესში — ეს ყველაფერი დაწვრილებით არის მოთხრობილი საინფორმაციო კლიპში, რომელიც საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ორგანიზებით არის გადაღებული. როგორც ფონდის ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი კახა გოგოლაშვილი აღნიშნავს ჩვენთან საუბრისას, უვიზო მიმოსვლა დაამსხვრევს პრორუსული პროპაგანდის მიერ თავს მოხვეულ მითებს, გააძლიერებს საქართველოს მოქალაქეების ინტერესს ევროკავშირის მისამართით და ბევრი შესაძლებლობა იქნება ათვისებული ძირითადად ახალგაზრდების მიერ. ამასთან, ექსპერტის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მოკლევადიანი უვიზო მიმოსვლის მექანიზმი დასაქმების საშუალებას არ იძლევა, მაინც გაჩნდება საკუთარი შესაძლებლობების კანონიერად რეალიზების პერსპექტივები: **„ხომ შეუძლია ადამიანს, გამოიყენოს უვიზო რეჟიმი და სპეციალურად ჩავიდეს შენგენის ზონის რომელიმე ქვეყანაში, ნახოს რაღაც ადგილები, გაიცნოს ხალხი, გააცნოს მათ თავისი კვალიფიკაცია და მიაღწიოს იმას, რომ მოითხოვონ ის, როგორც სპეციალისტი... რადგანაც, თუკი დამსაქმებელი იძლევა იმის არგუმენტაციას, რომ სწორედ ეს სპეციალისტი სჭირდება მას, მაშინ მას შეუძლია მიიღოს დასაქმების უფლება ევროკავშირში“.**

და თუკი მაინც შეცდა ვინმე და ევროკავშირის, შენგენის ზონის რომელიმე ქვეყანაში დასარჩენ უკანონო გზებს მიმართა, მისთვის სასჯელი საკმაოდ მკაცრი იქნება. როგორც გოგიტა ღვედაშვილი განმარტავს, მოკლევადიანი უვიზო რეჟიმის წესების დამრღვევ ადამიანს 5 წლით აეკრძალება შესვლა შენგენის ზონის ქვეყნებში და შესაძლებელია, რომ მას ასევე დაეკისროს ჯარიმა 3 ათასი ევროს ოდენობით. ხოლო თუკი უვიზო მიმოსვლის უფლების მქონე რომელიმე ქვეყნიდან მიგრანტთა დიდი ნაკადი მიაწყდება რომელიმე მიმღებ ქვეყანას ევროკავშირში, ასევე დიდი რაოდენობის ადამიანი მოითხოვს თავშესაფარს ანდა უკანონო ქმედებებით შეაწუხებს ევროკავშირის ამა თუ იმ ქვეყანას, ამოქმედებას არ დააყოვნებს უვიზო მიმოსვლის სწრაფი შეჩერების მექანიზმი და ეს ასე იქნება საქართველოსთვისაც.

„RFE//RL“(აშშ)

◎ გეოსტრატეგია

სხვა გზა არა გვაქვს, უნდა მოვითმინოთ!

(მერვე გვერდიდან) **— რუსეთთან მიმართებაში „დამთბარი“ პოლიტიკის და არაერთი კონსტრუქციული ნაბიჯის მიუხედავად, შემხვედრი ნაბიჯები ჯერჯერობით არ ჩანს, პირიქით, მცოცავი ოკუპაცია გრძელდება. აშშ-ის ხელისუფლება და ევროკავშირი პოზიტიურად აფასებენ საქართველოს მთავრობის კონსტრუქციულ და მშვიდ მიდგომას, თუმცა ადგილზე მდგომარეობა რთულია: ეს ყველაფერი ძალზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობაზე. შესაბამისად, უსასრულოდ ეს ძნელი მოსათმენია. რას ურჩევდით საქართველოს მთავრობას ამ ვითარებაში?**

— დიახ, სიტუაცია ადგილზე კვლავ რთულია, განსაკუთრებით — ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ჩვენ ამას „შენარჩუნებულ სტაბილურობას“ ვუწოდებთ. მე ვხედავ, რომ ადმინისტრაციული საზღვრების ორივე მხარეს ხალხს ურჩევნია მშვიდობა და არა საომარი მოქმედებები. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, რომელიც ადგილზე ერთადერთი საერთაშორისო წარმომადგენლობაა, ხელს უწყობს იმას, რომ შენარჩუნდეს მშვიდი ვითარება, ინციდენტების შეზღუდული რაოდენობით.

ზოგადად, ჩვენ ვართ სადამკვირვებლო და არა მრჩეველთა მისია. ჩვენი როლი არ არის საქართველოს მთავრობისთვის სტრატეგიული რჩევების მიცემა ან მხარდაჭერა. ჩვენ ყველა შესაბამის სტრუქტურას კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის სტაბილურობის, ნდობის აღდგენისა და საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად წვლილის შეტანისკენ მოვუწოდებთ.

მე ვფიქრობ, რომ, ზოგადად, საქართველოს ხელისუფლება სიტუაციას კარგად უმკლავდება და ინციდენტებს სათანადოდ პასუხობს. მე ასევე მომწონს ბოლოდროინდელი ინიციატივები დიალოგის ხელშეწყობასა და ჩართულობასთან დაკავშირებით. ბევრი რამ გაკეთდა ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ მცხოვრები ხალხის დასახმარებლად. საქართველოს აქვს ყველა საშუალება ქვეყნის უსაფრთხო მომავლისა და ხალხისათვის უკეთესი მომავლის უზრუნველყოფის გზაზე წინსვლისათვის. იმ ეტაპის მიღწევას, როდესაც ჩვენ შეგვეძლება კონფლიქტის მართვის ეტაპიდან მის უშუალო მოგვარებაზე გადასვლა, მოთმინება და დრო დასჭირდება. ამასობაში ადმინისტრაციულ საზღვართან მცხოვრები მოსახლეობისთვის უარყოფითი გამოწვევები, სავარაუდოდ, გაგრძელდება და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერს გააკეთებს მათ დასახმარებლად.

ესაუბრა
მარიკა ჩუბინიძე,
საინფორმაციო სააგენტო „აქცენტი“

მასალა მომზადებულია პროექტის „ინტეგრირება ინფორმირებით“ ფარგლებში, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის მხარდაჭერით.

ისრაელმა მარიხუანის ლეგალიზაცია დაუშვა

ისრაელის მინისტრთა კაბინეტმა მარიხუანის დეკრიმინალიზაციას მხარი დაუჭირა. ახალი კანონმდებლობით, პირს, რომელსაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე მარიხუანის მოხმარებისთვის დააკავებენ, ჯარიმის სახით 270 დოლარის გადახდა მოუწევს, განმეორებით დაკავების შემთხვევაში თანხა გაორმაგდება. კანონის მესამედ დარღვევისთვის სახელმწიფო ორგანოები კანონდამრღვევს მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანენ, სისხლის სამართლის საქმე კი მხოლოდ მეოთხე დარღვევის შემთხვევაში აღიძვრება. გადახდილი ჯარიმებით ნარკოდამოკიდებულებასთან ბრძოლის პროგრამები დაფინანსდება.

ოლანდი ლე პენის წინააღმდეგ

საფრანგეთმა მარინ ლე პენი პრეზიდენტად არ უნდა აირჩიოს. ამის შესახებ ქვეყნის მოქმედმა ლიდერმა ფრანსუა ოლანდმა „ლე მონდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. „თუ ის გაიმარჯვებს, ევროკავშირიდან საფრანგეთის გაყვანის პროცედურას აამოქმედებს, რაც არამხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ ევროპის მომავალზეც ნეგატიურად აისახება. ამიტომ, ჩემი მთავარი ამოცანაა, ის საფრანგეთის პრეზიდენტი არ გახდეს,“ — აღნიშნა ლე პენმა.

ლე პენისთვის რუსეთი საფრთხეს არ წარმოადგენს

რუსეთი ევროპას საფრთხეს არ უქმნის. ამის შესახებ საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა მარინ ლე პენმა CBS-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. კითხვაზე, არის თუ არა პუტინი მკვლელი და უქმნის თუ არა ის ევროპას საფრთხეს, „ეროვნული ფრონტის“ ლიდერმა აღნიშნა, რომ კრემლის ლიდერს მსგავსი არაფერი ჩაუდენია. „მე ამის არ მჯერა და ვთვლი, რომ ეს დიდი ტყუილია,“ — განაცხადა ლე პენმა.

ერდოღანმა გერმანიის მთავრობა ნაციზმში დააღანაშაულა

გერმანია ნაცისტურ მეთოდებს იყენებს. ამის შესახებ რეჯეფ თაიფ ერდოღანმა სტამბოლში მმართველი პარტიის მხარდამჭერ მიტინგზე გამოსვლისას განაცხადა.

„თურქეთის მთავრობის წევრებს კიოლნის კულტურულ ცენტრში აქციის გამართვის უფლება არ მისცეს. ისინი გერმანიაში მცხოვრებ თურქ მოქალაქეებს უნდა შეხვედროდნენ. გერმანიის დღევანდელი ქმედებები არაფრით განსხვავდება ნაცისტური პერიოდის რეჟიმის ქმედებებისგან“, — აღნიშნა ერდოღანმა.

ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	**ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:** ა) ლიცენზიის გაცემიდან 2 (ორი) წლის ვადაში შეისწავლოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსი, გამოთვალოს წყლის მარაგები და შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარადგინოს მარაგების ანგარიში; ბ) მარაგების დამტკიცების შემდეგ დამტკიცებული მარაგების ფარგლებში აითვისოს საბადოს მთლიანი რესურსი; გ) ლიცენზიის გაცემიდან 2 (ორი) წლის ვადაში, მინერალური წყლის ჩამოსხმის მიზნით, განახორციელოს არანაკლებ ერთი მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ინვესტიცია; დ) ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანიბის ფარგლებში უზრუნველყოს საქართველოს არანაკლებ 30 (ოცდაათი) მოქალაქის დასაქმება; ე) მარაგების დამტკიცებიდან 3 (სამი) წლის ვადაში, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მოთხოვნითა და მის მიერ დადგენილ ვადებში, განახორციელოს 300 000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობის გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსება; ვ) „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა, რომელიც დაადასტურებს ერთი მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ინვესტიციის განხორციელებას; ზ) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე; ზემოაღნიშნული თანხის გადახდის შემდეგ ლიცენზიანტი უფლებამოსილია, განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება; თ) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს მინერალური წყლის „ზანავის“ საბადოსა და წყლის ჩამომსხმელ საწარმოს შორის წყლის ტრანსპორტირება, მხოლოდ მათი დამაკავშირებელი მილსადენის საშუალებით. ი) აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვება წყლის დებიტზე ტემპერატურასა და ქიმიურ შემადგენლობაზე; კ) მარაგების დამტკიცების შემდეგ უზრუნველყოს სანიტარული ზონების დაცვა; ლ) ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი; მ) ექსპლუატაციის პროცესში ჭაბურღილებიდან უნდა აღიკვეთოს წყლის არამიზნობრივი დაღვრა. ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის (ჭაბ. N39) მიმდებარედ არსებული გზის ელემენტების მდგრადობის შენარჩუნება და ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შენახვა. ო) მოპოვებული მიწისქვეშა მინერალური წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; პ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; ჟ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; რ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ს) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ტ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილების თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში მისი ჰერმეტიზაციაც; უ) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტიკებიდან და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ ერთი თვის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით; ფ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	**ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზანავის მიმდებარე ტერიტორიაზე, „ზანავის“ მინერალური წყლის (ჭაბურღილები №143; №144 და №39) სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვება**
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	**ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზანავის მიმდებარე ტერიტორია**
8	აუქციონის საწყისი ფასი	5 000 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	500 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (20%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	1 000 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 9 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 7 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 7 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 7 აპრილს 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

მცირე და საშუალო ბიზნესს განსაკუთრებით რეგიონებში უჭირს!

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე მუდმივი მსჯელობით საქმე წინ ვერ მიდის. რეალურად ქვეყანაში მცირე მეწარმეობა ჩანასახოვან მდგომარეობას ვერ გასცდა. ამ ტიპის ბიზნესის პრობლემა სტატისტიკითაც დასტურდება. „საქსტატის“ მონაცემებიდან ჩანს, ბოლო სამი წლის განმავლობაში სიტუაცია უკეთესობისკენ არ შეცვლილა.

2013 წელს მცირე ბიზნესში 138 ათასი კაცი იყო დასაქმებული. 2014 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა და 168 ათასს მიაღწია. 2015 წელს მდგომარეობა თითქმის უცვლელი იყო, რადგან მხოლოდ 1000 კაცი დაემატა დასაქმებულთა სიას. 2016 წლის პირველი ორი კვარტალის მონაცემებით კი მცირე ბიზნესში 148 ათასი კაცია დასაქმებული.

ანალოგიური მდგომარეობაა საშუალო ბიზნესშიც, რომელიც დასაქმებულთა მხრივ ასევე კლებას განიცდის. ამ სექტორში 2015 წელს 100 ათასი კაცი საქმიანობდა, ხოლო 2016 წლის მეორე კვარტალის მონაცემების მიხედვით – 96 ათასი, რაც 2013 წლის მაჩვენებლის მსგავსია. საერთო ჯამში, წელს მცირე და საშუალო ბიზნესმა 25 ათასი დასაქმებული მოისაკლისა.

პარალელურად, მსხვილ ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა მატულობს. ამ სექტორში 2015 წელს 340 ათასი, ხოლო 2016 წლის მეორე კვარტალში 365 ათასი კაცი მუშაობდა. მსხვილი ბიზნესის განვითარება, მცირე და საშუალო ბიზნესის ხარჯზე მდგომარეობას არასტაბილურს ხდის, რასაც სპეციალისტებიც ადასტურებენ.

მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების გაანალიზება. ამ საკითხზე აქტიურად საუბრობენ როგორც ხელისუფლებაში, ასევე საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებში. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ საკითხი უბრალო მსჯელობას ვერ სცდება. ამჯერადაც საქართველოში ვიზიტად მყოფმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებმა და ქვეყნის პრეზიდენტმა უმუშევრობის დონის შემცირებაზე გაამახვილეს ყურადღება, რომლის მოგვარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზად მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა მიიჩნიეს.

„ეს საკითხი იყო განხილვის თემა. საერთაშორისო სავალუტო ფონდი გამოთქვამს მზადყოფნას, იმისათვის, რომ გათვალისწინებული იყოს გარკვეული ფაქტორები, რომლებიც მომავალში ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ქვეყნის ეკონომიკის ზრდის გეგმა, სავალუტო ფონდის მიხედვით, დაახლოებით 3-3,5%-ია. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ეს რეალურია, თუმცა მნიშვნელოვანია ამ ყველაფერთან თანხვედრაში იყოს როგორც ფისკალური, ისე მონეტარული პოლიტიკა“, – განაცხადა პრეზიდენტის ეკონომიკურმა მრჩეველმა მაია მელიქიძემ.

მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციის თავმჯდომარის მიხეილ ჭელიძის განცხადებით, ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესი ძნელად ვითარდება, განსაკუთრებით რეგიონებში.

„მოსახლეობის აქტიური ნაწილი ცხოვრობს დედაქალაქში და ეს არის ერთ-ერთი განმაპირობებელი იმისა, რომ თბილისში უფრო მეტად არის განვითარებული მცირე და საშუალო ბიზნესი, ვიდრე რეგიონებში. იქ ინფორმაციის ნაკლებობაა და სამეწარმეო განათლებაც შედარებით დაბალია. იმისათვის, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი რაიონებშიც ისევე განვითარდეს, როგორც დედაქალაქში, საჭიროა სახელმწიფო პროგრამების მაქსიმალურად გაშლა. აუცილებელია რეგიონებში ჩაიდოს ფინანსები და სისტემა აეწყოს. ამისთვის მოსახლეობა აქტიურად უნდა ჩაერთოს სოფლის მეურნეობაში და პროექტში „აწარმოე საქართელოში“, – აცხადებს მიხეილ ჭელიძე.

გეძა დანელია

განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებში სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ პოზიციებზე:

1.1 **ნეიროფიზიოლოგიის განყოფილება** – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული "ა" კატეგორია), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (5 ერთეული "ა" კატეგორია), მეცნიერ თანამშრომელი (3 ერთეული "ა"კატეგორია);

1.2 **მემბრანოლოგიის განყოფილება** – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (3 ერთეული "ა" კატეგორია), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული "ა" კატეგორია), მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული "ა"კატეგორია);

1.3 **ბიოქიმიის განყოფილება** – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული "ბ" კატეგორია), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული "ა" კატეგორია), მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული "ა", 4 ერთეული "ბ"კატეგორია);

1.4 **თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის და მეტაბოლიზმის განყოფილება** – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული "ა", 1 ერთეული "ბ"კატეგორია), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული "ა"კატეგორია), მეცნიერ თანამშრომელი (3 ერთეული "ა"კატეგორია);

1.5 **ნეიროტოქსიკოლოგიის განყოფილება** – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული "ა" კატეგორია), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული "ა", 1 ერთეული "ბ"კატეგორია), მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული "ა"კატეგორია);

1.6 **რადიობიოლოგიის განყოფილება** – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული ,,ა", 2 ერთეული "ბ"კატეგორია), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (3 ერთეული "ა" კატეგორია), მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული "ა", 2 ერთეული "ბ"კატეგორია);

1.7 **ბიოფიზიკის განყოფილება** – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული "ა", 1 ერთეული "ბ" კატეგორია), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (6 ერთეული "ა" კატეგორია), მეცნიერ თანამშრომელი (3 ერთეული "ა" კატეგორია);

1.8 **ქცევისა და კოგნიტიურ ფუნქციათა ლაბორატორია** – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული "ა", 1 ერთეული "ბ"კატეგორია), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული "ა" კატეგორია), მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული "ა", 1 ერთეული "ბ"კატეგორია);

1.9 **ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორია** – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული "ა", 1 ერთეული "ბ"კატეგორია), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (3 ერთეული "ა", 1 ერთეული "ბ" კატეგორია), მეცნიერ თანამშრომელი (3 ერთეული "ა"კატეგორია);

1.10 **გენომის სტრუქტურის და ფუნქციის ლაბორატორია** – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული "ბ" კატეგორია), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (3 ერთეული "ა" კატეგორია, 1 ერთეული "ბ" კატეგორია), მეცნიერ თანამშრომელი (4 ერთეული "ა"კატეგორია);

1.11 **რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა ლაბორატორია** – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული "ა", 2 ერთეული "ბ"კატეგორია), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული "ა" კატეგორია), მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული "ა", 3 ერთეული "ბ"კატეგორია).

1.12 **მხედველობის ფიზიოლოგიის ლაბორატორია** – უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული "ა", 1 ერთეული "ბ" კატეგორია), მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული "ა", 2 ერთეული "ბ" კატეგორია);

1.13 **ბიოინფორმატიკის ლაბორატორია** – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული "ა" კატეგორია), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული "ა" კატეგორია), მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული "ა", 1 ერთეული "ბ"კატეგორია);

1.14 **ექსპერიმენტული ნევროლოგიის ლაბორატორია** – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული "ა" კატეგორია), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული "ა" კატეგორია), მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული "ა", 1 ერთეული "ბ"კატეგორია);

1.15 **ტკივილის და ანალგეზიის ლაბორატორია** – უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული "ა", 1 ერთეული "ბ" კატეგორია), მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული "ა"კატეგორია);

1.16 **თავის ტვინის ულტრა და ნანო არქიტექტონიკის ლაბორატორია** – უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული "ა" კატეგორია), მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული "ა", 1 ერთეული "ბ"კატეგორია);

1.17 **რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ–ანალიტიკური სერვისების განყოფილება** – უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული "ა" კატეგორია);

2. **მეცნიერ თანამშრომლის** თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

3. **უფროსი მეცნიერ თანამშრომლის** თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

4. **მთავარი მეცნიერ თანამშრომლის** თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

1. განცხადება, განყოფილების/ლაბორატორიის, დასაკავებელი პოზიციისა და კატეგორიის მითითებით;
2. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. კალენდარული ავტობიოგრაფია – CV, მასში მოყვანილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებით;
4. დიპლომების ასლები;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი:
   ა) სტატიების სრული სია;
   ბ) თეზისების სრული სია;
6. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიების ასლები, საუკეთესო ნაშრომის ასლი, რომელიც უკეთესად წარმოაჩენს კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში განმცხადებლის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;

კონკურსი ჩატარდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით;

არასრული და არასწორი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში კანდიდატურა არ განიხილება;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ვადაა 2017 წლის 10 აპრილიდან 2017 წლის 21 აპრილის ჩათვლით;

კონკურსი ჩატარდება 2017 წლის 24–25 აპრილს;

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: 0160, თბილისი, გოთუას ქ. №14, II სართული, კანცელარია.

საკონტაქტო პირი – მარიამ ირემაშვილი, ელმირა მეგედი, ნინო ემუხვარი;

e-mail – secretary@lifescience.org.ge;

ტელ: 2 37 12 31, 2 37 11 65, 2 37 11 78.

მილიარდერების რეიტინგში ბიძინა ივანიშვილი 276-ე ადგილზეა

საბაგენტო Bloomberg-მა პლანეტის 500 ყველაზე მდიდარი ადამიანის განახლებული სია საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა. მსოფლიოს მილიარდერების განახლებულ რეიტინგში ქართველი მილიარდერი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი 5.52 მილიარდი დოლარით 276-ე ადგილზეა.

Bloomberg-ის რეიტინგის სათავეში Microsoft-ის დამფუძნებელი ბილ გეითსია (85,6 მილიარდი დოლარი), მეორე ადგილზე – ამერიკელი ბიზნესმენი უორენ ბაფეტი (78,9 მილიარდი), მესამე ადგილზე – Amazon-ის ხელმძღვანელი ჯეფ ბეზოსი (73,5 მილიარდი).

პირველ ათეულში მოხვდნენ ასევე ესპანური კომპანიის Inditex-ის დამფუძნებელი ამანსიო ორტეგა (69,3 მილიარდი), Facebook-ის დამფუძნებელი მარკ ცუკერბერგი (59,1 მილიარდი), მექსიკელი ბიზნესმენი კარლოს სლიმი (53 მილიარდი), კორპორაცია Koch Industries-ის თანამფლობელები ძმები ჩარლზ და დევიდ კოხები (თითოეული 48,1 მილიარდით), კორპორაცია Oracle-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ლარი ელისონი (45,3 მილიარდი), ასევე IKEA-ს დამფუძნებელი ინგვარ კამპარდი (42,9 მილიარდი).

8 მარტისთვის თბილისი რუსი ტურისტებისათვის საინტერესო ქალაქად დასახელდა

8 მარტისთვის **თბილისი რუსი ტურისტებისათვის საინტერესო მიმართულებად დასახელდა. სასტუმროების საძიებო პორტალმა RoomGuru.ru რუსი ტურისტებისათვის სარვამარტოდ საინტერესო ტურისტული მიმართულებების რეიტინგი შეადგინა. ცხადია რეიტინგი 7-9 მარტის სასტუმროთა და ჯავშნის გათვალისწინებით შედგა.**

ამ რეიტინგში თბილისი მეოთხე პოზიციაზეა. RoomGuru-ს მიხედვით საუკეთესო „ტოპ-10" ასე გამოიყურება: მინსკი, რიგა, ტალინი, თბილისი, ბაქო, ერევანი, ბარსელონა, ბუდაპეშტი, რომი და ვენა.

განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად შემდეგ პოზიციაზე:

1.1 **რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ–ანალიტიკური სერვისების განყოფილება** –განყოფილების გამგე–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი «ა»კატეგორია;

2. კონკურსი ჩატარდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

3. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს ცენტრის სამეცნიერო საბჭო.

4. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შესაბამისი პროფილით, გააჩნია სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები.

5. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

5.1 განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

5.2 კალენდარული ავტობიოგრაფია (CV), მასში მოყვანილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებით;

5.3 დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

5.4 გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (სრული სია):
   ა) სტატიების სრული სია;
   ბ) თეზისების სრული სია;

5.5. სამეცნიერო ნაშრომების/სტატიების ან სხვა დოკუმენტების ასლი, რომელებიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის განსაკუთრებულ სამეცნიერო მიღწევებს.

5.6 შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ.);

5.7 სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის დოკუმენტაცია (სურვილისამებრ).

6. ღია კონკურსის საფუძველზე ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის გამგეს ირჩევს ცენტრის სამეცნიერო საბჭო, ამტკიცებს დირექტორი და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას.

7. საბუთები მიიღება ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში, მისამართი: 0160, თბილისი, გოთუას ქუჩა №14, II სართული, კანცელარია.

8. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ვადაა 2017 წლის 7 მარტიდან 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით.

9. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2017 წლის 5 აპრილს.

10. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: 0160, თბილისი, გოთუას ქუჩა №14, II სართული, კანცელარია.

საკონტაქტო პირი – მარიამ ირემაშვილი, ელმირა მეგედი, ნინო ემუხვარი;

e-mail – secretary@lifescience.org.ge;

ტელ: 2 37 12 31, 2 37 11 65, 2 37 11 78.

განცხადების გაუქმების შესახებ

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)
სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR)

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) აუქმებს ფონდის მიერ 2017 წლის 2 მარტს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ განცხადებას - **გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტირძნისში მდ. პატარა ლიახვის კალაპოტის ნაპირსამგრი სამუშაოების, კონტრაქტით #** AMMAR/CW/2017/09 შესახებ.

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)
სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR)

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თამამ ისრაფილოვას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თამამ ისრაფილოვა (პ/ნ 36001026182), საგარეჯო, სოფელი იორმუღანლო.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
საგარეჯო, სოფელი ქეშალო (საკადასტრო კოდი: 55.22.53.118).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 31122.31 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 7 მარტი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 21 მარტი, 15:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP41373617;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 413736
6. **მოვალე:** სოილი გასანოვა (პ/ნ 36001028600), საგარეჯო, სოფელი იორმუღანლო;
აზერ სულეიმანოვი (პ/ნ 36001047119), საგარეჯო, სოფელი იორმუღანლო;
ნამიგ ხალაფოვი (პ/ნ 36001036141), საგარეჯო, სოფელი იორმუღანლო.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP41373617; ლოტის ნომერი: 413736).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 20 მარტის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ამირან რაზმაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ამირან რაზმაძე (პ/ნ 61001059868), ქ. ბათუმი, დიასამიძის ქ. №15.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ბათუმი, დიასამიძის ქ. №15 (საკადასტრო კოდი: 05.10.08.024.01.500).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 19370.44 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 7 მარტი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 21 მარტი, 15:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP41376517;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 413765
6. **მოვალე:** ალექსანდრე რაზმაძე (პ/ნ 61003003094), ქ. ბათუმი, დიასამიძის ქ. №15.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP41376517; ლოტის ნომერი: 413765).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 20 მარტის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს გიზიეთარ ბაირამოვას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიზიეთარ ბაირამოვა (პ/ნ 36001035655), საგარეჯო, სოფელი იორმუღანლო.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
საგარეჯო, სოფელი იორმუღანლო (საკადასტრო კოდი: 55.22.51.389).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 11267.56 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 7 მარტი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 21 მარტი, 15:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP41376217;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 413762
6. **მოვალე:** ჰამზა ემინოვი (პ/ნ 36001036289), საგარეჯო, სოფელი ქეშალო, მე-11 ქ. №21;
რამინ მამედოვი (პ/ნ 36001053762), საგარეჯო, სოფელი ქეშალო, მე-12 II ჩიხი №2;
ალი ნოვრუზოვი (პ/ნ 36001043309), საგარეჯო, სოფელი ქეშალო, მე-12 ქ. №8;
მურად ემინოვი (პ/ნ 36401056813), საგარეჯო, სოფელი ქეშალო, მე-11 ქ. №21.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP41376217; ლოტის ნომერი: 413762).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 20 მარტის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მაყვალა დიასამიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მაყვალა დიასამიძე (პ/ნ 61010007879), შუახევი, სოფელი ნიგაზეული.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ბათუმი, აფხაზეთის ქ. №6ა, კორპუსი 12, ბინა №31ა (საკადასტრო კოდი: 05.30.18.033.06.503).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 19205.81 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 7 მარტი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 21 მარტი, 15:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP41376617;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 413766
6. **მოვალე:** ემზარ ბერიძე (პ/ნ 61005006474), ქობულეთი, სოფელი ჩაისუბანი.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP41376617; ლოტის ნომერი: 413766).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 20 მარტის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ რაგბი

პირენეელთა და რეფერის წინააღმდეგ

რაგბი – ევროპის ჩემპიონატი

ესპანეთი – საქართველო 10:20

ესპანეთი: ლოპეს პერესი, ბერნსი, ალბერტო ბლანკო ალონსო, გავიდი, სანჩეს ბორეხო, ვილიანუევა მარტინი, კანოსა, ფონტანა, რუე, ბელი, ჟორბა, ალვარესი, სნი, კასტელონი, ლინკლეიტერი. შეცვლაზე შევიდნენ: ფრანსისკო ბლანკო ალონსო, აუსკი, საბალა არიეტა, გიიომი, ფოულდსი, რამოს მარტინი, ხიმენო სორია, მინგიიონი. მწვრთნელი: სანტიაგო სანტოსი.

საქართველო: თეთრაშვილი, მამუკაშვილი, ბეკოშვილი, ნემსაძე, მიქაუტაძე, გიორგაძე, თხილაიშვილი, ლომიძე, ლობჟანიძე, ხმალაძე, თოდუა, შარიქაძე, კაჭარავა, მათიაშვილი, კვირიკაშვილი. შეცვლაზე შევიდნენ: ბრეგვაძე, მატარაძე, ტაბიძე, ცუცქირიძე, ბეგაძე, ლიპარტელიანი, წიკლაური. მწვრთნელი: მილტონ ჰეიგი.

დაბა მედინა დელ კამპოშიგამართული ესპანეთი-საქართველოს მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატის მატჩი მასპინძლებმა ენერგიულად დაიწყეს და მალე დაწინაურდნენ: ბრედ ლინკლეიტერმა საჯარიმო დარტყმა უნაკლოდ შეასრულა – 3:0. „ცივი შხაპის“ შემდეგ ქართველთა იერიშები აგრესიული გახდა და მასპინძლებმა, სხვა რომ ვერაფერი დაუპირისპირეს „ბორჯღალოსნებს“, უხეშობას უმატეს, მაგრამ ახალგაზრდა უელსელი რეფერი კრეიგ ევანსი თამაშის წესების დარღვევას ყურადღებას არ აქცევდა. მეტიც, შესვენების შემდეგ მან ხმალაძის მიერ დამიწებული ლელო არ ჩათვალა და საეჭვო სიტუაციაში გასარკვევად ვიდეორეფერიც არ მოითხოვა. ცხადია, სტუმრები მსაჯის გულმოწყალებას ვერ დაელოდებოდნენ და მალე საჯარიმო დარტყმითვე წონასწორობა აღადგინეს – 3:3. პაექრობის 26-ე წუთზე ესპანელთა ნატურალიზებულმა ფიჯელმა მეორეხაზელმა ილაიტია გავიდიმ ლელო გაგვიტანა, ლინკლეიტერმა (ისიც ნატურალიზებულია) ზუსტად გარდასახა და ესპანეთი 10:3 დაწინაურდა.

მეორე ტაიმში მატჩის სადავეები საქართველოს ნაკრებმა იგდო ხელთ – პირენეელთა და არბიტრის მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, ჰეიგის შეგირდებმა მეტოქე დაჯაბნეს: ჯერ თხილაიშვილმა მიითვალა ლელო, ხოლო შემდეგ კვირიკაშვილმა უნაკლოდ გარდასახა და ანგარიში ისევ გაქვითა – 10:10. 58-ე წუთზე დებიუტანტმა მათიაშვილმა იყოჩაღა, მეკომ ესეც გარდასახა და „ბორჯღალოსნები“ ამ მატჩში პირველად დაწინაურდნენ - 17:10. პაექრობის დამთავრებამდე წუთით ადრე შერკინებისას ჩვენებმა მასპინძლებს კიდევ ერთხელ დაარღვევინეს თამაშის წესი, კვირიკაშვილმა კი თავის 101-ე სანაკრებო მატჩში პირადი მონაგარი ზუსტი საჯარიმო დარტყმით 793 ქულამდე გაზარდა. საქართველოს ნაკრებმა 20:10 გაიმარჯვა და გათამაშების ცხრილში 4 ქულა ჩაიწერა. ამავე დღეს ჩემპიონატის კიდევ ორი შეხვედრა გაიმართა: რუსეთი - რუმინეთი 10:30, გერმანია - ბელგია 34:29.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
საქართველო	3	3	0	0	101:22	14 (ბ2)
რუმინეთი	3	2	0	1	81:54	10 (2)
გერმანია	3	2	0	1	81:117	8 (0)
ესპანეთი	3	1	0	2	29:39	4 (0)
რუსეთი	3	1	0	2	41:64	4 (0)
ბელგია	3	0	0	3	53:90	2 (2)

ჩემპიონატის მომდევნო პაექრობას საქართველოს ნაკრები შინ გამართავს – 12 მარტს რუსეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს.

ლექსო ცინცაძე

◎ ჭიდაობა

„კლასიკოსთა“ უკრაინული ალაფი

3 ოქროს, 2 ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი – ასეთი ალაფით ბრუნდება საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები (მწვრთნელები – ბექა როყვა და ოთარ ტატიშვილი) უკრაინული ტურნირიდან, რომელშიც 21 ქვეყნის წარმომადგენლებმა იასპარეზეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გოგა გოგიბერაშვილი (66), ბაკურ გოგოლი (75) და ზვიად პატარიძე (130), ვერცხლის მედლები ლევან არაბულმა (130) და რამაზ ზოიძემ (71) მოიპოვეს, ხოლო დავით ჩხარტიშვილმა (66) და ზურაბ დათუნაშვილმა (80) მესამე ადგილები დაიკავეს.

66 კილოში გოგიბერაშვილმა ზედიზედ 4 მეტოქე ჩამოიშორა გზიდან – უკრაინელი ვიტალი ფულგაევი (3:2), ბელარუსი მიხაილ სიამინაუ (7:1), უკრაინელი დენის დემიანკოვი (2:1) და თანაგუნდელი დავით ჩხარტიშვილი (8:0), რომელმაც ბრინჯაოსთვის პაექრობაში უკრაინელი ფულგაევი (2:1) დაამარცხა. გოგამ გადამწყვეტ შეხვედრაში სომეხ კარენ ასლანიანს დამაჯერებლად აჯობა - 11:5.

75 კილოში შესანიშნავად იჭიდავა გოგოლმა: ფინალში გასვლამდე 3 უკრაინელი მეტოქე დაჯაბნა: არტიომ მატიაში (3:1), დმიტრო არაბაჯი (4:3) და ევგენი პიშკოვი (2:0), ბოლო ორთაბრძოლა კი მოლდოველ მიხაილ ბრადუსთან ფრედ დაასრულა - 2:2, მაგრამ ბოლო ქულის წყალობით ტურნირის „ოქრო“ დაიმსახურა.

მძიმე წონაში ქომაგებმა ქართული ფინალი იხილეს: „ახალგაზრდა ლომად“ მონათლულმა ზვიად პატარიძემ ნახევარფინალში მოლდოველ ალინ ალექსუცს სძლია – 2:1, ხოლო ლევან არაბულმა ასეთივე ანგარიშით უკრაინის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი – რიოს ოლიმპიური თამაშების მონაწილე ოლექსანდრ ჩერნეცკი დაამარცხა. გადამწყვეტ პაექრობაში პატარიძემ არაბულს 3:1 მოუგო.

„ოქროსთან“ ახლოს იყო 71 კილოში მოასპარეზე ზოიძეც, მაგრამ ფინალი დაძაბულ ბრძოლაში ირანელ ფარჰად ბელფაკეჰთან დათმო - 3:4 და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა (80) ზურაბ დათუნაშვილმა „ბრინჯაოსთვის“ შეხვედრაში უკრაინელი იაროსლავ ფილჩაკოვი 3:1 დაჯაბნა.

ლაშა დიდია

◎ კალათბურთი

საუბილეო - გამოცემაც, თარიღიც

გუშინ მთელი ქართული საკალათბურთო თემი სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ შეიკრიბა.

ღონისძიების დასაწყისში აუდიტორიას წარუდგინეს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ეგიდით გამოცემული ნომერ მეხუთე წლის წიგნი, რომელმაც მზის შუქი გენერალური სპონსორის – „საქართველოს რკინიგზის“, აგრეთვე, „ბორჯომისა“ და „ცოდნისას“ თანადგომით იხილა.



წამყვანებმა და ორატორებმა განსაკუთრებული სითბო გამოხატეს ვაჟთა ეროვნული ნაკრების მიმართ, რომელიც ზედიზედ მეოთხედ(!) გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და წლეულს 31 აგვისტოდან ისრაელში დაიცავს ქვეყნის სპორტულ ღირსებას. მის მიღწევებთან ერთად კრებულში ვრცლად არის მიმოხილული სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებების წარმატებები და საშინაო ტურნირების, მათ შორის სუპერლიგის პერიპეტიები.

დამსწრე საზოგადოებამ ღირსეული პატივი მიაგო დინამოელთა ძველი გვარდიის გამორჩეულ წარმომადგენელს – გივი ბიჭიაშვილს, რომელსაც გუშინ 70 წელი შეუსრულდა. იუბილარს მიესალმნენ სკფ-ს პრეზიდენტი მიხეილ გაბრიჩიძე, პოპულარული კომენტატორი და მწვრთნელი ჯამლეტ ხუხაშვილი და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, რომელმაც სამქულიანების დიდოსტატს, სამაგალითო პიროვნებას, მეოჯახესა და მეგობარს სპორტის რაინდის წოდება მიანიჭა.

თანაკლუბელს ფულადი პრიზი თბილისის „დინამოს“ თავკაცმა ვახტანგ ნაცვლიშვილმაც გადასცა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

აქეთურ - იქითურები

ეროვნული ჩემპიონატი. I ტური. „დინამო“ – „კოლხეთი“ 1:0 (არაბული), „სამტრედია“ – „შუქურა“ 1:1 (რაჟამაშვილი; საბაძე), „საბურთალო“ – „ტორპედო“ 1:0 (კოხრეიძე), „ჩიხურა“ – „დილა“ 0:0, „ლოკომოტივი“ – „ბათუმი“ 2:1 (სიხარულიძე – 2; შონია).

ყაზახეთი. სუპერთასი. „კაირატი“ – „ასტანა“ 2:0. ალმაატელთა თავკაცმა კახი ცხადაძემ სეზონი ტიტულის მოპოვებით დაიწყო. ვუ ლოცავთ!

იტალია. „უდინეზე“ – „იუვენტუსი“ 1:1, „რომა“ – „ნაპოლი“ 1:2, „ბოლონია“ – „ლაციო“ 0:2.

ესპანეთი. „ბარსელონა“ – „სელტა“ 5:0, „ეიბარი“ – „რეალი“ 1:4, „ატლეტიკო“ – „ვალენსია“ 3:0.

ინგლისი. „ტოტენჰემი“ – „ევერტონი“ 3:2, „სანდერლენდი“ – „სიტი“ 0:2, „ლივერპული“ – „არსენალი“ 3:1.

გერმანია. „კიოლნი“ – „ბაიერნი“ 0:3, „აუგსბურგი“ – „ლაიფციგი“ 2:2, „ბორუსია“ – „ლევერკუზენი“ 6:2.

საფრანგეთი. „მონაკო“ – „ნანტი“ 4:0, „პსჟ“ – „ნანსი“ 1:0, „დიჟონი“ – „ნიცა“ 0:1.

გიორგი შოთაძე

სანთელი

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია და „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ჩვენი ძვირფასი კოლეგა და მეგობარი, ცნობილი სპორტული ჟურნალისტი და კომენტატორი, ტელეკომპანია „სილქ-ტივის“ პროდიუსერი

ალეკო ჯიბლაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

◎ სიკეთე არასოდეს იკარგება!

აიდინ ბადიროვს ბედმა გაუღიმა

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო და სამშვიდობო პროექტებთან ერთად მრავალი წელია, ახორციელებს მნიშვნელოვან პროექტებს სოციალურ სფეროში. მიმდინარე წლის იანვარში ჩვენი ყურადღება მიიპყრო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ბატონ ნუგზარ ფოფხაძის წერილმა, რომელიც მკითხველს ამცნობდა თავისუფალ ჭიდაობაში მრავალგზის ჩემპიონის, 14 წლის აიდინ ბადიროვის რთულ ოჯახურ პირობებს, რის გამოც იგი იძულებულია, ბაზრობაზე ლიმონის გაყიდვით მოიპოვოს საარსებო საშუალება. დეტალებში გარკვევის და მისთვის დახმარების გაწევის მიზნით, გაზეთის საშუალებით, მოვძებნეთ და შევხვდით აიდინ ბადიროვს. გაირკვა, რომ კარგი სპორტული პერსპექტივის ბიჭი სამ მცირეწლოვან და-ძმასთან, ავადმყოფ დედასთან და უმუშევარ მამასთან ერთად ცხოვრობს ქალაქიდან საკმაოდ მოშორებულ უბანში, კეთილმოუწყობელ ნაქირავებ ბინაში. არც მას და არც დაძმებს სკოლაში საერთოდ არ უვლიათ, თავად აიდინი როგორღაც ახერხებს ვაშლიჯვარში „ვისოლის“ სპორტდარბაზში სიარულს, სადაც ბედის წყალობით ჰყავს შეხანიშნავი მწვრთნელი ვასილ კოტორაშვილი. ვესაუბრეთ ბატონ ვასილსაც, რომელიც დარწმუნებულია აიდინის წარმატებულ სპორტულ მომავალში და ამიტომ უანგაროდ ასრულებს მწვრთნელის მოვალეობას. გულწრფელი მადლობა მას ამისთვის.

არსებული შესაძლებლობიდან გამომდინარე, ასოციაციის ხელმძღვანელებმა მაია კვეზერელი-კოპაძემ და ნელი გურგენიძემ გამგეობასთან ერთად გადაწყვიტეს, რომ ბადიროვების ოჯახს გაუწიონ ყოველთვიური დახმარება კვების პროდუქტებით, აგრეთვე, შეუძინონ ოჯახის წევრებს ტანსაცმელი, რაც უკვე ხორციელდება და გაგრძელდება საჭიროების მიხედვით. ჩვენი თხოვნით ადგილობრივი თვითმმართველობისა და განათლების ორგანოები იზრუნებენ საიმისოდ, რომ აიდინმა შეძლოს საშუალო განათლების მიღება.

გვინდა, იმედი ვიქონიოთ, რომ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ხელმძღვანელი ორგანოები სათანადო ყურადღებას მიაქცევენ არასრულწლოვანი პერსპექტიული სპორტსმენის პრობლემების მოგვარებას და ხელს შეუწყობენ მის მომავალ სპორტულ წარმატებებს.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“

სანთელი

ნანი და თამაზ ტულუშის ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოხატავს ძვირფასი ადამიანის

ავთანდილ კვეზერელი-კოპაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის დიდ ოჯახს.

გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი თანაუგრძნობს მაია კვეზერელ-კოპაძეს მამის, გამოჩენილი ქართველი ექიმის, საქართველოს სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსის, ბრწყინვალების ორდენის კავალერის, თბილისის საპატიო მოქალაქის

ავთანდილ კვეზერელი-კოპაძის

გარდაცვალების გამო.

როცა დაავადება უკან იხევს

ცნობილი სახალხო მკურნალის, ქალბატონ მაყვალა ცინცაძის უძველესი საოჯახო სამკურნალო ტრადიციების გამგრძელებელი ნანა მელია-პაიჭაძე წინაპრების მიერ გადმოცემული ტექნოლოგიით სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს ჰაიმორიტს და ასევე მკურნალობს მცენარეული საფენ-მალამოებით 1. ძვალ-სახსროვან დაავადებებს: მარილებს, კისრის, მუხლ-სახსრის, მენჯ-ბარძაყის ართროზს; 2. ოსტეოქონდროზს; 3. რადიკულიტს; 4. დისკოზს; 5. ნერვის და სახსრების ანთებას; 6. ფეხის ტერფის, ძუსლის ტკივილს.

ვისაც გსურთ სწრაფად, ეფექტურად მკურნალობა და უპირატესობას ანიჭებთ საუკუნეებგამოვლილ, აღიარებულ მცენარეულ მალამოებს, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ქალბატონ ნანას მისამართზე: *ქ. თბილისი, წერეთლის მე-3 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული.* ნანა მელია-პაიჭაძე. ტელ: 2 34 62 51. 557 25 66 17. 599 20 19 66.

მარადმწვანე სექვოიას ზუგდიდის ბოტანიკური ბაღიდან შეკვეთილში გადარგავენ?!

ზუგდიდელთა სავიზიტო ბარათი — ბოტანიკური ბაღი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში სამეგრელოს უკანასკნელი დედოფლის — დავით დადიანის მეუღლის — ეკატერინე ჭავჭავაძის მიერ არის გაშენებული და ამ ბაღს ყურადღება და მზრუნველობა არ აკლდა მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე. 25 წელზე მეტია, ბაღი უპატრონოდაა მიტოვებული, რამაც მისი გაპარტახება და გაჩანაგება გამოიწვია. დიდი ხანი არ არის, რაც ბოტანიკური ბაღი, როგორც იქნა დათმო ეკონომიკის სამინისტრომ და კანონიერ მფლობელს — ზუგდიდის მერიას გადაეცა, რომელსაც კოლოსალური სამუშაოების გაწევა მოუწევს, რათა ბაღს დაამსგავსოს.

ბოტანიკური ბაღი 26 ჰექტარზეა გაშენებული და აქ ხარობს მსოფლიოს ყველა კონტინეტიდან შემოტანილი 230-მდე სახეობის უნიკალური ჯიშის ხე. ბაღის შესასვლელთან დგას 1870 წელს დარგული ჩრდილოეთ ამერიკული ჯიშის ხე — სექვოია, რომლის სიმაღლე 140 მეტრს, ხოლო დიამეტრი 20 მეტრს აღწევს. გარდა ამისა მის გარშემო არის ასევე უფრო გვიანდელი პერიოდის ათიოდე სექვოიას ხე. სექვოიას მერქანი გამოიყენება გემთმშენებლობაში.

გავრცელებული ვერსიით ამ რამდენიმე თვის წინათ ზუგდიდში იმყოფებოდნენ გარკვეული პიროვნებები, რომლებმაც გულისყურით დაათვალიერეს ბოტანიკური ბაღი და განსაკუთრებით სექვოიას ხეებით დაინტერესდნენ. იმასაც ამბობენ, რომ შესაძლოა, მარადმწვანე სექვოიამ ციხისძირის მაგნოლიასავით ზუგდიდიდან შეკვეთილში გადაინაცვლოს. არადა, ამის არათუ დაშვება, არამედ გაფიქრებაც კი ყოვლად წარმოუდგენელია. ეს არ უნდა მოხდეს და არც მოხდება ალბათ. ზუგდიდელებს ყოველივე მონაჭორი ჰგონიათ, რადგან კარგად იციან და აფასებენ იმას, რომ საქართველოს უპირველესი ქველმოქმედის დაფინანსებით რემონტდება დადიანების ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი, განახლდება შ. დადიანი სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი და კეთილმოეწყობა ბოტანიკური ბაღი.

ლადო ძირია,
ზუგდიდიდან

ამოღებულია დიდი ოდენობით ნარკოტიკი

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქე, 1993 წელს დაბადებული პ.ა. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დაკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულისგან 152 შეკვრად დაფასოებული კანაფის ფისის შემცველი ნარკოტიკული საშუალება და 0,05314 გრამი ამფეტამინი ამოიღეს.

ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად, პ.ა.-ს სხვადასხვა დასახელების ნარკოტიკის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

ტრაგედია რუსთავში

52 წლის ქალი და 12 წლის ბავშვი საკუთარ სახლში გარდაცვლილები იპოვეს.

შემთხვევა რუსთავში მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, გარდაცვალების მიზეზი ბუნებრივი აირის გაჟონვა გახდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პრიმა მუხლით მიმდინარეობს (სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია).

◎ სწორი კვება

მიირთვით და შეგერგოთ!

კვების პროდუქტები და საჭმლის მომნელებელი სისტემა უდიდეს როლს ასრულებენ როგორც ორგანიზმის ჯანმრთელობის მდგომარეობაში, ასევე დიდად მოქმედებენ ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობაზე.

საჭმლის მონელება — ესაა კუჭ-ნაწლავში საკვების მექანიკური და ქიმიური მონელების პროცესი, რომლის დროს ორგანიზმის უჯრედები მას ითვისებენ. საჭმლის მონელების პროცესი მანამდე იწყება, ვიდრე კაცი რამეს შეჭამდეს: საკვების ხილვა და სუნი საჭმლის მომნელებელი წვენების გამომუშავებასა და ნერწყვის გამოყოფას იწვევს. როგორც კი პირველ ნაჭერს პირში ჩავიდებთ, საჭმლის მონელების ყველა სისტემა აქტიურად იწყებს მუშაობას.

საჭმლის მონელების ძირითადი წვენია მარილმჟავა, რომელსაც ლითონის გახსნაც კი შეუძლია, მაგრამ კუჭში შემთხვევით მოხვედრილი პლასტიკატის სათამაშოები, ფანქრები და თმა, მეორე მხრიდან, პრაქტიკულად, უცვლელად გამოდიან.

წვრილ ნაწლავში იმდენი ნაკეცია, რომ მისი ზედაპირის მთლიანი ფართობი 250 კვადრატული მეტრია, რაც ჩოგბურთის კორტის ფართობის ტოლია.

სადღესასწაულო ვახშმის მოსანელებლად ადამიანს 72 საათი სჭირდება. თავდაპირველად ხდება ნახშირწყლების — ნამცხვრებისა და პურეულის მონელება; შემდეგ მოდის მშრალი ცილა — შემწვარი ქათამი, ყველაზე დიდი დრო კი ცხიმების გადამუშავებას სჭირდება. ყოველდღიურად ადამიანს 1,7 ლიტრი ნერწყვი გამოუმუშავდება, რაც ავტომატურად, საჭმლის დანახვაზე ანდა მისი სუნის გაგონებაზე ხდება ხოლმე. საჭმელი ადამიანის კუჭში იმ შემთხვევაშიც მოხვდება, თუკი ის თავდაყირა დადგება, რაც იმის შედეგია, რომ საჭმლის მომნელებელი ორგანოების კუნთები ტალღისებურად იკუმშება.

საჭმლის მომნელებელი ტრაქტი — ესაა 9-მეტრიანი მილი, რომელიც პირის ღრუთი იწყება და ანალური ხვრელით მთავრდება. მოზრდილი ადამიანის ცარიელი კუჭის ტევადობაა 0,5 ლიტრია, რომელიც სადილის შემდეგ შეიძლება ერთ, ზოგჯერ კი ოთხ ლიტრამდეც გაიჭიმოს. ახალშობილი ბავშვის კუჭი კი მხოლოდ 30 მილილიტრს იტევს. კუჭის გაზები — ესაა ჩაყლაპული ჰაერის და საჭმლის მონელების სისტემაში ბაქტერიების მიერ წარმოებული გაზების — აზოტის, ჟანგბადის, ნახშირჟანგის, წყალბადისა და მეთანის ნაზავი.

სათრეველებად მითქვამს

სტრასბურგული 8 მარტი

თუ პასუხი სხვას უგია,
ჩვენც რომ ვაგოთ, მერე რა?
ვისი ჯილაც სტრასბურგია,
ჩვენს ხალხს ვერ მოერევა.
რაში გვარგებს, ვინ თქვა რაცხა,
როცა სხვები წარგვმართავს,
გაზაფხულზე თუ არ დაცხა,
მზემ არ გამოანათა?
თუკი რვა მარტს ვერ ცვლის ხვალ ცხრა,
ვაი, ასეთ სამართალს!

ბატონ იან კელს

„რუსთავ-ორის“ მიტაცება
დღესაც ნიშნავს ზნის დაცემას
და გთხოვთ, თავი, იან კელო,
თავმოჭრილს არ მიაკერო!

ბატონ შენ კაშს

არამკითხე მოამბეს

რომ შეეშველე „რუსთავ-ორს“
ზარების ჩამორეკვაში,
რა შუაში ხარ შენ კაში,
ვერ დაეტევი შენ კანში?

ნაპროკრუსტალს

შენი პროკრუსტობა როდის რას შვრებოდა,
თუკი გაიხსენეს, თავს ვის შეაყვარებ?!
მახსოვს, ააოხრეთ ღამით „სამშობლო“ და
ჟურნალ-გაზეთები თვალში შეაყარეთ!
... შენგან დარბეული მხოლოდ „იმედია“?
ჭერი რომ წაართვეს, ვკითხოთ იმ მედიას!

ალექსანდრე შენგელია,
ქუთაისიდან

ინტერნეტიდან

ოლგა კირილენკოს უკრაინული ამბიციები

განსაკუთრებული ფეიერვერკებისა და დოლ-გარმონის გარეშე გვსურს წარმოგიდგინოთ უკრაინელი მოდელი ოლგა კირილენკო, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ უკრაინელი სპორტსმენების თილისმობაზე აცხადებს პრეტენზიას და საამისოდ იგი ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს.

ოლგა 10 წელზე მეტია, რაც უკრაინიდან შორს, საზღვარგარეთ, კერძოდ კი, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწეობს და იქ გვარიანი სახელიც დაიგდო, მაგრამ, როგორც ჩანს, არაფრით არ ივიწყებს თავის ქვეყანას და როგორც უკვე გითხარით, მშვენიერი ამბიციებიც გააჩნია.

მას შემდეგ, რაც უკრაინას ჩვენი „ტკბილი მეზობლის“ არმია შეესია და დიდ გასაჭირშიც ჩააგდო, საზღვარგარეთ მცხოვრები ბევრი უკრაინელი ცდილობს, სხვადასხვა სახით შეეწიოს საკუთარ სამშობლოს. ამ ჩვენს ოლგასაც დახმარების ეს ხერხი მოუფიქრებია და იმას კი ვერ აცნობიერებს, რამდენ ლამაზმანზე მოუწევს გადაბიჯება.

როსტომ რაჭველიშვილი

რას არ გაიგებ!

მსოფლიოში ყველაზე ცნობილი სასტუმრო 3 წლით დაიხურა

ნიუ-იორკში განთავსებული Waldorf Astoria, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ცნობილ სასტუმროდაა აღიარებული, 3 წლით დაიხურა. ამის მიზეზი კი რეკონტრუქციაა, რომელიც მას ჩაუტარდება. როგორც Hilton-ის საიტზეა აღნიშნული, სასტუმრომ 28 თებერვლიდან სტუმრების მიღება შეწყვიტა.

სასტუმროს რეკონსტრუქციას პერ-ივ როშონი განახორციელებს, რომელიც ადრე სასტუმრო Le Bristol-ისა და სხვა ცნობილი სასტუმროების რეკონსტრუქციაზე მუშაობდა..

2014 წლიდან Waldorf Astoria-ს ჩინური სადაზღვევო კომპანია Anbang Insurance Group ფლობს, ხოლო მის მართვას ახორციელებს და სამომავლოდაც ასე გაგრძელდება Hilton-ის ქსელი.

Waldorf Astoria 1931 წელს გაიხსნა და მან არაერთ ცნობილ ადამიანს უმასპინძლა. ამ სასტუმროში გადაიღეს ასევე მრავალი ფილმი, მათ შორის, „ქალის სურნელი“.

ჭკვიანი პრეზერვატივი



ბრიტანეთში ე.წ. ჭკვიანი პრეზერვატივის რეალიზაცია დაიწყო. ამ დროისათვის ძნელი სათქმელია i.Con Smart Condom-ი პროდუქტი გახდება თუ არა.

რეალურად i.Con Smart Condom სრულყოფილი პრეზერვატივი არ არის. მოწყობილობა წარმოადგენს რგოლს, რომელიც ეცმევა ჩვეულებრივ კონტრაცეპტივს.

i.Con Smart Condom-ის მფლობელს პროცესის შესახებ ყველაფრის გაგება შეუძლია: მოძრაობის სიჩქარე, მისი ძალა, სექსის დროს დამწვარი კალორიების რაოდენობის შესახებ, მისი ხანგრძლივობა, სხეულის ტემპერატურა და სხვა.

ისევე როგორც სხვა „ჭკვიანი“ მოწყობილობა i.Con Smart Condom-ის სმარტფონთან Bluetooth-ის საშუალებითაა დაკავშირებული.

i.Con Smart Condom-ის ღირებულება 59,99 ფუნტი სტერლინგია.

გერმანიაში ევთანაზიის ლეგალიზება მოხდა

გერმანიაში მძიმედ დაავადებულ პაციენტებს საკუთარი სიცოცხლის პრეპარატების ჩარევით დასრულების უფლება მიეცათ. ამის შესახებ გადაწყვეტილება ლაიფციგში მდებარე ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ მიიღო. ამ გადაწყვეტილებაზე ხელის მომწერმა მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ ეს ადამიანის უფლებებს ექვემდებარება. ამის შემდეგ გერმანიაში მძიმე დაავადებების მქონე პაციენტებს სურვილისამებრ ევთანაზიის განხორციელება შეეძლებათ.

ნორვეგიულმა ეკიპაჟმა 500-მდე მიგრანტი გადაარჩინა

ხმელთაშუა ზღვაში 500-მდე მიგრანტი გადაარჩინეს. სამაშველო ოპერაცია ნორვეგიული გემის ეკიპაჟმა ჩაატარა. გადარჩენილი ლტოლვილები გემით სიცილიაში გადაიყვანეს. მათი უმრავლესობა ბანგლადეშის, პაკისტანის და სირიის მოქალაქეა. ისინი იტალიის სანაპიროებამდე მიღწევას ნავებით ცდილობდნენ. ერთ-ერთი მათგანი შტორმმა იმსხვერპლა.

ფხენიანმა ბირთვული რაკეტები გამოსცადა

ჩრდილოეთ კორეამ ახალი ბალისტიკური რაკეტები გამოსცადა. იაპონიის ზღვის მიმართულებით 4 ბალისტიკური რაკეტა გაუშვეს. მათგან 3 იაპონიის სანაპიროებიდან 200 მილში ჩავარდა. ფხენიანის ქმედება მკაცრად დაგმო სამხრეთ კორეამ და იაპონიამ. საგანგებო განცხადება გააკეთა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორმა ფედერიკა მოგერინიმაც.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4289; ევრო - 2.5581;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 2.9824;
100 რუბლი - 4.1506; თურქული ლირა - 0.6578;
აზერბაიჯანული მანათი - 1.3674;
1000 სომხური დრამი - 4.9977.

ამინდი 7 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +3	დღე +15
მთიანი რაიონები -	ღამე –5,	დღე +14
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +5,	დღე +25
მთიანი რაიონები -	ღამე 0,	დღე +19
თბილისი:	ღამე +8,	დღე +13

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge